№5(6) 8.02.199

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ფასი 40 კაპიკი გამოდის პარასკეობით

## ნომერში:


დეივ შულცი:
ჩემს შვილს ზანდროს ვეძახი
მე-2 გვერდი

უცხოეთის ნაცვლად... პენსიაზე
ოლიმპიური მედლები — 126 მანეთად
მე-8 გვერდი

როგორ ცხოვრობ, ჩემპიონო?



ინტერვიუ ლევან თედიაშვილთან
მე-6 გვერდი

უკვე დასრულებული ქრონიკა
რუბრიკის დასაწყისი
მე-8 გვერდი




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ჭიდაობამ ერთხელ კიდევ გაიმარჯვა ჩვენში: მიუხედავად დღევანდელი დაძაბული ვითარებისა, გაჭირვებისა და სიდუხჭირისა, თბილისის სპორტის სასახლეში სამი დღის განმავლობაში რამდენიმე ათასი ადამიანი მოდიოდა თავისუფალ ჭიდაობაში ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირის საცქერად... ამ სურათზე კი ხედავთ იაპონელ მწვრთნელს, რომელსაც შეგირდის გამარჯვებით გამოწვეულმა დიდმა სიხარულმა წამიერად ბავშვობა დაუბრუნა.

## იყავით გულახდილი და... არ გაგთქვამთ

ასეთი დაპირება მისცა [illegible] ჟურნალისტმა ქალმა [illegible] ქართველ კლასიკური [illegible] მოჭიდავეებს, კერძოდ, [illegible] საერთაშორისო კატეგორიის [illegible] ედიშერ მაჩაიძეს, ვისგანაც [illegible] ინტერვიუს იღებდა. აშკარა, [illegible] ჟურნალისტი ძალზე ცუდად [illegible] საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, ამიტომაც გაუკვირდა თანამოსაუბრის თავისუფალი ლაპარაკი საქართველოს ამბებზე. ეტყობა, იფიქრა, შინ რომ ჩავა, სუკ-ში არ ამოაყოფინონ [illegible] შეჰპირდა: გაზეთში თქვენი [illegible] არ [illegible] იქნებაო. ასეთ მზრუნველობა[illegible] გუნდის წევრებს სიცილი აუ[illegible]და.

მათ საერთოდ უარი თქვე[illegible] დროშით გამოსვლაზე და [illegible] საქართველოს ეროვნული [illegible] აფრიალდა, რომელიც თვი[illegible] ჩაიტანეს შვეციაში. იქაური პრ[illegible] აქტიურად გამოეხმაურა. მაგ[illegible] გაზეთ „ND"-ში პირველ [illegible] დაიბეჭდა გუნდის ფოტო და [illegible] სათაურით: „თქვენ საბჭოთა [illegible] სახელით გამოდიხართ?.. [illegible], ჩვენ ქართველები ვართ".

კლიპანის თასის გათა[illegible], რომელსაც უხალდესი, „ა" კა[illegible] ტურნირის სტატუსი აქვს, [illegible] მოჭიდავეებმა ორი ოქროს [illegible] ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. 74 კგ წონითს კატე[illegible]რიაში ყველას აჯობა ქუთაისელმა გოგიტა ჯინჭველაშვილმა, 100 კგ წ[illegible] — გურამ გედეხაურმა, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონი, პოლო[illegible] ვრონსკიც დაამარცხა.

ვერცხლის მედალი დაიმსახურა მარტყოფელმა მამუკა გიგაურმა (68 კგ), ბრინჯაოსი — თბილისელმა ბეჟ[illegible] დარჩიამ (82 კგ). გუნდურ პირველობაში საქართველოს ნაკრები, რომელსაც გუნდის უფროსი მწვრთნელი მიხეილ სილაძე ხელმძღვანელობდა, მესამე ადგილზე გავიდა.



## ჩემპიონმა დაამარცხა ჩემპიონი

კრივში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ (შეჯიბრება ყაზანში გაიმართა) საკავშირო ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კონსტანტინ კოპცევმა შეაქო საქართველოს მოკრივეები, თუმცა ჩვენც ვიცით, რომ ამ რანგის ტურნირში ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მოპოვება იოლი საქმე არ არის. მით უმეტეს, ჩვენი სამივე პრიზიორი ძალიან ახალგაზრდაა.

ოქროს მედალი ამ სამში ყველაზე უმცროსს ხვდა: მსოფლიო ჩემპიონმა იუნიორთა შორის, 19 წლის თბილისელმა კახაბერ ბარავიმ (57 კგ) ყველა შეხვედრა წარმატებით ჩაატარა, ხოლო ფინალში რინგის მასპინძელს, საბჭოთა კავშირის შარშანდელ ჩემპიონს ფაატ გატინს მოუგო.

ჩემპიონატის ვერცხლის მედალი პირველად დაიმსახურა ქუთაისელმა თენგიზ მესხაძემ (67 კგ), ბრინჯაოსი კი — მესტიელმა ზურაბ ფალიანმა (75 კგ).

სურათზე: კახაბერ ბარავი (ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო).

## შეხვედრა ხუან ანტონიო სამარანჩთან

1955 წლიდან მოყოლებული სისტემატურად იმართება ჟურნალისტთა მსოფლიო პირველობა სათხილამურო სპორტში. წლევანდელ შეჯიბრებაში, რომელსაც შვეიცარიის ზამთრის კურორტი კრანს-მონტანა მასპინძლობდა, დამოუკიდებლად იასპარეზეს საქართველოს წარმომადგენლებმა. თავისთავად საგულისხმო ფაქტია, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ამბები სარბიელის მიღმა მოხდა. საგანგებო სესიაზე გადაწყდა, რომ 1993 წლის პირველობა გუდაურში გაიმართება.

— გუდაურის კანდიდატურას ჟურნალისტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი, — გვითხრა გაზეთ „ლელოს" რედაქტორმა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ გაჩეჩილაძემ, — რაც ჩვენთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო... კიდევ ერთი საყურადღებო ამბავი: შვეიცარიაში ყოფნით ვისარგებლეთ და დავუკავშირდით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბბინას. სოკ-ის პრეზიდენტი, ბატონი სამარანჩი ადგილზე არ იყო, მაგრამ გვითხრეს ხვალ თვითონ ჩამოვა კრანს-მონტანაში და ჟურნალისტთა პრესკონფერენციას გამართავსო. ასეც მოხდა. პრესკონფერენციის შემდეგ სამარანჩმა ცალკე მიგვიღო და გვესაუბრა. ეს იყო საჭირო და სასურველი შეხვედრა. პრეზიდენტს გავაცანით საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის ისტორია, განვუმარტეთ ჩვენი მიზნები, დამოკიდებულება საკავშირო ოლიმპიურ კომიტეტთან. შეიძლება ითქვას, რომ სეოკ-ის თაობაზე სამარანჩს თურმე აქამდე არავითარი ინფორმაცია არ ჰქონდა. ცხადია, პრეზიდენტი მოვიპატიჟეთ საქართველოში. ადრე თუ გვიან, ეს ვიზიტი აუცილებლად შედგება.

## ისტორიის საიუბილეო ფურცელი

თავისუფალ ჭიდაობაში ვახტანგ ბალავაძის პრიზზე სპორტის სასახლეში ოცდამეათედ გამართულ საერთაშორისო ტურნირში საქართველოს სპორტსმენებმა ოთხი უმაღლესი ჯილდო მოიპოვეს. გამარჯვებულთა შორის იყვნენ გოჩა მაკოევი (68 კგ-მდე), რომელმაც ზედიზედ მესამედ დაიკავა პირველი ადგილი, ავთანდილ გოგოლიშვილი (82 კგ-მდე), ლერი ხაბელოვი (100 კგ-მდე) და ზაზა თურმანიძე (130 კგ-მდე). ამასთან, ლერი ხაბელოვმა მეექვსედ მოიგო ეს პრესტიჟული შეჯიბრება და, ამგვარად, კიეველი ბორის ბიგაევის წარმატება გაიმეორა.

საუბილეო ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის, ირანის, მონღოლეთის, კანადის, აშშ-ის, სამხრეთ კორეის, იაპონიისა და სსრ კავშირის 140-მდე სპორტსმენმა. ცალკე გუნდად გამოვიდნენ საქართველოს მოჭიდავეები.

დანარჩენ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს: ირანელმა ნასერე ზაინალიმ (48 კგ-მდე), კიროვაკანელმა ბაგავდინ უმახანოვმა (57 კგ-მდე) და გაჯი რაშიდოვმა (62 კგ-მდე), ამერიკელმა კრის კენდელმა (90 კგ-მდე). იშვიათი შემთხვევა მოხდა ფინალში 74 კგ-მდე წონით კატეგორიაში, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ ამერიკელი დეივ შულცი და საიდად კატინოვასოვი (მოსკოვის ოლქი). ორთაბრძოლის ძირითადი დროის დამთავრებამდე სულ რაღაც 4-5 წამი რჩებოდა, ტაბლოზე კი აღნიშნული იყო მხოლოდ ნულები და თითო-თითო სპორტსმენის ორ-ორი გაფრთხილება. აქ არბიტრებმა მესამედ გააფრთხილეს მეტოქეები, რითაც ორივემ დაკარგა შეხვედრის გაგრძელების შესაძლებლობა. დიდი კამათის მერე მსაჯებმა, ცოტა არ იყოს, გაუგებარი გადაწყვეტილება გამოიტანეს, რამაც მაყურებელთა სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. ორივე სპორტსმენს პირველი ადგილი მიაკუთვნეს.

# დეივ შულცი: „მინდა ვხედავდე ზღვა ღიმილს“

**დეივ შულცი ჟურნალისტებს დაგვპირდა, ინტერვიუს იმ შემთხვევაში მოგცემთ, თუ კამზათ ხაზამოვთან შეხვედრას მოვიგებო. ბეწვზე ეკიდა დაპირებული საუბრის ბედი ოლიმპიურ ჩემპიონთან. ამერიკელმა ათლეტმა უმძიმეს ბრძოლაში უკანასკნელ წამს გამოგლიჯა ხელიდან გამარჯვება მეტოქეს და უმაღლესი ჯილდოსკენ გაიკაფა გზა. გახარებულმა შულცმა მოგვიგო: „ნოუ პრობლემ! ახლა ლაპარაკიც შეიძლება!“ რამდენიმე წუთში ჩვენ უკვე ამერიკელთა გუნდის ცარიელ გასახდელში ვისხედით.**

**— დეივ, გრძნობდით, როგორ გიჭერდნენ მხარს მაყურებლები?**

— ვგრძნობდი, როგორ არა! თბილისში იციან ლამაზი ჭიდაობის ფასი, შესანიშნავად ერკვევიან ყოველ ნიუანსში. გულშემატკივრები მუდამ ობიექტურნი არიან, კეთილმოსურნედ განწყობილი. ეს განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნის დარბაზში და სპორტსმენებიც ცდილობენ მთლიანად გამოავლინონ თავიანთი ძალა და უნარი.

**— თქვენ თბილისის ტურნირის ხშირი სტუმარი ბრძანდებით.**

— აქამდე თქვენს ქალაქში რვაჯერ ჩამოვედი, როგორც სპორტსმენი, ორჯერ კი — როგორც მწვრთნელი. ძალიან მომწონს თბილისი, თქვენი ხალხი. აქ ბევრი მეგობარიც მყავს. ერთი სიტყვით, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს საკუთარ სახლში ვიყო.

**— სასიამოვნოა ამის მოსმენა ძველი მეგობრისაგან, თუმცა უნდა ვაღიაროთ, თბილისის ტურნირში თქვენი გამოსვლები დიდად წარმატებულად არ შეიძლება ჩაითვალოს.**

— თქვენს ტურნირში გამარჯვება მხოლოდ ერთხელ შევძელი — 1987 წელს. თბილისის შეჯიბრება მუდამ გამოირჩეოდა მონაწილეთა ძლიერი შემადგენლობით. ეს სპორტსმენის მზადყოფნის შესანიშნავი გამოცდაა.

**— ზოგიერთის აზრით, ჩვენს ტურნირს ლილა გაუხუნდა — უწინდებურად პრესტიჟულ შეჯიბრებად აღარ ითვლება.**

— არა, მე ამას ვერ ვიტყვი. ადრე ამ შეჯიბრების მონაწილეთა შორის საბჭოთა მოჭიდავეები ჭარბობდნენ. ახლა მათგან მხოლოდ საუკეთესონი გამოდიან. უძლიერესებთან ასპარეზობა ხომ ბევრად უფრო სასარგებლოა. მეტს სწავლობ, სატურნირო ბრძოლის პრაქტიკას, მდიდარ გამოცდილებას იძენ.

**— ვფიქრობ, თქვენ არც ერთი გაკლიათ, არც მეორე.**

— საერთოდ, ალბათ ასეა. ახლა ოცდათერთმეტი წლის ვარ. აქედან ცხრამეტი წელი ჭიდაობას შევწირე. ეს არც ისე ცოტაა. იმ სპორტსმენთაგან, რომლებსაც ხალიჩაზე შევხვედრივარ, ზოგიერთი ცხრამეტისა არც იყო...

**— ყველაზე ხშირად რა გახსენდებათ თქვენი წარსულიდან?**

— გამიჭირდება ზუსტი პასუხის გაცემა. ჩემთვის ძვირფასია ყველაფერი, რაც ჭიდაობასთან არის დაკავშირებული. ბევრი მიმოგზაურია, ბევრი ქვეყანა მინახავს. სპორტმა მასწავლა ხალხის გარჩევა, სიკეთისა და ბოროტების ჭეშმარიტი ფასის შეცნობა, საკუთარი შესაძლებლობების რეალურად შეფასება. სპორტმა ჩამომიყალიბა ხასიათი. განა ეს ცოტაა?

**— კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ სპორტული შედეგები თქვენთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია.**

— მთლად ასეც არ არის. სპორტული შედეგი ხომ უპირველესად შენი შრომის უტყუარი გამოხატულებაა. მაგრამ მინდა ბოლომდე გულახდილი ვიყო: წლების განმავლობაში მივხვდი, რომ თურმე სპორტს საკმარის ყურადღებას არ ვუთმობდი. ასე რომ არა, უთუოდ ბევრად უფრო მაღალ შედეგებს მივაღწევდი. მე მხოლოდ ერთი ოლიმპიადა და ასევე ერთი მსოფლიო ჩემპიონატი მოვიგე. თუმცა პროფესიონალ მოჭიდავედ ვითვლები, უფრო მოყვარული აღმოვჩნდი. არც მიწიერ სიამეს ვიკლებდი, ვარჯიშითაც სხვებზე ნაკლებს ვვარჯიშობდი. ვტოვებდი და ისევ ვუბრუნდებოდი სარბიელს. ერთი სიტყვით, თითქოს ორი ცხოვრებით ვცხოვრობდი. სისულელეა და მეტი არაფერი. ადამიანმა თავისი საქმე მთელი გულით, კარგად უნდა აკეთოს.

**— და მაინც, თქვენს ბიოგრაფიაში იყო ღირსსახსოვარი ეპიზოდები.**

— ჩემთვის საუკეთესო იყო 1983-84 წლები. მე მოვიგე მსოფლიო ჩემპიონატი და ლოს-ანჯელესის ოლიმპიადა. მეტისთვის ძალა არ მეყო. ახლა მენანება ის დაკარგული დრო.

**— არადა, რაც წლები გადის, ალბათ გამარჯვებაც სულ უფრო ძნელდება.**

— გამარჯვება ყოველთვის ძნელი იყო. სხვა საქმეა, რომ თავად ჭიდაობა შეიცვალა. ფილა ხშირად ცვლის წესებს, მაგრამ ჭიდაობას ამით სანახაობით სილამაზე და დინამიკურობა არ მომატებია. საკმარისია ერთი ქულა მოიგო, მერე კი დრო როგორმე გაიყვანო და ჩემპიონი გახდები. მე პატარა კაცი ვარ, რასაც მეტყვიან ვასრულებ.

**— ჟურნალისტები „ცბიერ მელას“ გეძახიან.**

— ვიცი, ვიცი! (მხიარულად იცინის). ზუსტად შეარჩიეს „სახელი“. მე დიდი ძალით არასოდეს გამოვირჩეოდი, ამიტომ ეს ნაკლი მრავალფეროვანი ტაქტიკით, მოულოდნელი მანევრებით უნდა



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ამენაზღაურებინა. ასე, რომ ხალიჩაზე უფრო ტვინით მიხდებოდა მუშაობა, ვიდრე ფეხებით...

**— როგორი სტილის მოჭიდავეებს აფასებთ უფრო მეტად?**

— საბჭოთა სპორტსმენები — ფაძაევი, ძმები ბელოგლაზოვები, მახარბეკ ხადარცევი, ჩემი თანამემამულე სმიტი, ბულგარელი იორდანოვი, თქვენი ბიჭები — გობეჯიშვილი და ხაბელოვი. სხვათა შორის, გობეჯიშვილისა და ჩვენი ბაუმპარტნერის მეტოქეობა ღირსშესანიშნავი მოვლენაა ჭიდაობაში.

**— თქვენს ასაკში ალბათ დროა მომავალზეც იფიქროს კაცმა, არა?**

— ამ მხრივ მშვიდად ვარ. ოკლაჰომას უნივერსიტეტი დავამთავრე, ფიზიკური კულტურის სპეციალისტის დიპლომი მაქვს. ახლა კალიფორნიის ჭიდაობის კლუბში ვვარჯიშობ. სარბიელს როდის დავტოვებ, არ ვიცი. ჯერჯერობით თავს სავსებით ჯანმრთელად ვგრძნობ. მერე ალბათ მწვრთნელად ვიმუშავებ, მით უფრო, რომ ამისი გამოცდილება მაქვს.

**— თუ შეიძლება, გვიამბეთ თქვენს ოჯახზე.**

— ო, ბედნიერი კაცი ვარ. მართლაც ბედმა გამიღიმა, ნენსის ოკლაჰომაში შევხვდი. კოლეჯში ტანმოვარჯიშე გოგონებს ამეცადინებდა. თვითონ შტატის ჩემპიონი იყო. ძალიან კარგად გვესმის ერთმანეთისა. ამ რამდენიმე წლის წინ თბილისშიც ერთად ჩამოვედით.

**— მაშინ თქვენთან ერთად თქვენი ოჯახის მესამე წევრიც გვესტუმრა.**

— ახლა ალექსანდრე მეხუთე წელიწადშია. მე სანდროს ვეძახი, ქართულად.

**— რას იტყვით, ისიც რომ მამის კვალს გაჰყვეს?**

— წინააღმდეგი არ ვიქნები.. მთავარია ჯანმრთელი გაიზარდოს, კარგი ადამიანი იყოს. მოხარული ვიქნები, თუ ოდესმე ისიც გამოვა თბილისის ტურნირში. დედამიწის ზურგზე ყველა ბავშვს მშვიდობას და ბედნიერ ცხოვრებას ვუსურვებ. მე პოლიტიკოსი არა ვარ, მაგრამ ერთი რამ მტკიცედ მწამს: სპორტი ხალხთა დაახლოების საუკეთესო საშუალებაა, მიუხედავად მათი სახის ფერისა თუ სარწმუნოებისა. მინდა მთელ მსოფლიოში მშვიდობა და ურთიერთგაგება სუფევდეს, რომ ირგვლივ მუდამ ზღვა ღიმილს ვხედავდე...

ესაუბრა
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲨᲐᲚᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

# ორი მოსაზრება ერთ საკითხზე

## ივან იარიგინი — სსრკ ნაკრების მთავარი მწვრთნელი



— მე არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა ამ ავტორიტეტულ შეჯიბრებაში — ჯერ როგორც სპორტსმენს, მერე კი როგორც ნაკრების ხელმძღვანელს, ორჯერ გამარჯვებაც მოვიპოვე. არასოდეს დამავიწყდება 1971 წელი, როცა პირველად მოვიგე თბილისის შეჯიბრება და საბოლოოდ დავიმკვიდრე ადგილი ნაკრებში. ერთი წლის შემდეგ მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებშიც გავიმარჯვე. 1976 წელს მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში ჩემს გამარჯვებას საძირკველი სწორედ თბილისის ტურნირზე ჩაეყარა, როცა ეს შეჯიბრება მეორედ მოვიგე. ასე რომ, ამ ტურნირთან უაღრესად სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს. თბილისში გამარჯვება მუდამ ძნელი მოსაპოვებელი იყო, რადგან აქ უძლიერესი მოჭიდავეები იყრიდნენ თავს. შემთხვევითი როდია, რომ ამ ტურნირს მცირე მსოფლიო ჩემპიონატი უწოდეს. ისიც უნდა ვაღიარო, რომ მას შემდეგ, რაც ნაკრებს ჩავუდექი სათავეში, ჩვენ რამდენადმე შევამცირეთ თბილისის ტურნირის მონაწილე საბჭოთა სპორტსმენების რაოდენობა — ახლა ამ შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის მხოლოდ ნაკრების კანდიდატებსა და მის უახლოეს რეზერვს ვიწვევთ. ამან საგრძნობლად გაზარდა კონკურენცია და ასპარეზობის სპორტული დონე. წლევანდელი ტურნირი წინამორბედებს არაფრით ჩამოუვარდებოდა. ნაკრების პირველი ნომრებიდან სარბიელზე არ გამოსულან მხოლოდ ფაძაევი, მახარბეკ ხადარცევი და გობეჯიშვილი, რომლებიც მწვრთნელთა საბჭომ გაათავისუფლა. შეიძლება ითქვას, უძლიერესი შემადგენლობები ჩამოიყვანეს უცხოეთის გუნდებმა. ამერიკელები ორი გუნდითაც კი ჩამოვიდნენ. ეს ყველაფერი ახლახან დამთავრებული ტურნირის მაღალ საერთაშორისო ავტორიტეტზე მეტყველებს. მე ვფიქრობ, მინსკისა და კრასნოიარსკის ტურნირები ამ მხრივ თბილისის ასპარეზობას კონკურენციას ვერ გაუწევენ.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო ტურნირების რიცხვის გაზრდა ხელს შეუწყობს საშეჯიბრებო „პრაქტიკის გავლას“ და აუცილებელი გამოცდილების შეძენას.

თბილისის ტურნირის ისტორია — ეს ჭიდაობის სამამულო სკოლის ისტორიაც არის. საქართველომ, სადაც გამოჩენილ ათლეტთა არა ერთი და ორი თაობა აღიზარდა, დაიმსახურა ის, რომ ასეთი რანგის „საკუთარი“ ტურნირი ჰქონდეს. ფილა-ს საერთაშორისო კალენდარში იგი უმაღლეს „ა“ კატეგორიაშია შეტანილი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს მის პრესტიჟულობას.

## დიმიტრი მინდიაშვილი — სსრკ დამსახურებული მწვრთნელი



— ვიცი, ქართველ ჭიდაობის მოყვარულებსა და სპეციალისტებს ძალიან გაფიქრებთ თბილისის ტურნირის ბედი. მაგრამ ვფიქრობ, ეს შეშფოთება საფუძველს მოკლებულია. თბილისის ტურნირს არავითარი საფრთხე არ ემუქრება. იგი სამი ათეული წელია ტარდება და კიდევ მრავალ წელიწადს გაახარებს სპორტის მოყვარულებს. არ დავმალავ, ცენტრში ვილაც-ვილაცეები ცდილობდნენ ტურნირის სხვაგან გადატანას. ივან იარიგინმა და მისმა თანამოაზრეებმა შეძლეს ტურნირის დაცვა და ახლა ამ მრავალწლიანი ტრადიციის დარღვევას ვერავინ გაბედავს. თბილისის ტურნირის ისტორია მთელი ეპოქაა მსოფლიო სპორტში და მისი უგულებელყოფის უფლება არავის აქვს. აქვე მინდა ჩემი მოსაზრებები გამოვთქვა შეჯიბრების ორგანიზაციასთან დაკავშირებით. მე ამის შესახებ უკვე ვესაუბრე ჩემს კოლეგებს. როგორც ჩანს, საჭიროა ამ დიდი ღონისძიების სცენარის განახლება. ის უფრო მიმზიდველი, უფრო საზეიმო და ლამაზი უნდა იყოს. უნდა ჩატარდეს რაღაც სპორტულ-თეატრალიზებული შოუს მსგავსი, როგორც სხვა ქვეყნებშია მიღებული. მაგალითად, კრასნოიარსკში გამართულ ამაწინანდელ ტურნირს ჩვენ სწორედ სპორტული შოუს სახე მივეცით. შეჯიბრებას უდიდესი წარმატება ხვდა. დარბაზში ნემსი არ ჩავარდებოდა. ამან ტურნირს ახლებური ელფერი შესძინა.

სხვათა შორის, აქვე მინდა ვთქვა: ნუ გამოვიჩენთ „ეჭვიანობას“ კრასნოიარსკის ტურნირის მიმართ. უნდა გვახსოვდეს, იგი ივან იარიგინის სახელს ატარებს — იმ კაცის სახელს, რომლითაც მთელი ციმბირი ამაყობს. ვფიქრობ, ჩემ შეხედულებას ჭიდაობის ბევრი მოყვარული გაიზიარებს — მან დაიმსახურა ეს პატივი. მეორე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია: ამ უზარმაზარ რეგიონში კარგი ათლეტების მთელი თაობები აღიზარდა. აქ ხალხს გულწრფელად უყვარს ჭიდაობა. მათთვის ამ შეჯიბრებას მცირე სიხარული მაინც მოაქვს, რაც ასე გვაკლია ჩვენს მძიმე დროში.

რაც შეეხება თბილისის ტურნირის სპორტულ მხარეს, მე არ ვიზიარებ აზრს, თითქოს მისი დონე დაეცა. წლევანდელი შეჯიბრება ამის ნათელი დადასტურებაა. სარბიელზე გამოვიდნენ მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები. ჩვენ მოწმენი ვიყავით მართლაც უმაღლესი ოსტატობისა. ცალკეულ წონით კატეგორიებში ტონს ახალგაზრდა ათლეტები იძლეოდნენ. ეს არ შეიძლება არ გვახარებდეს. პირადად მე ძალიან მომეწონა რამდენიმე სწრაფად მზარდი სპორტსმენი — გიორგი ხინჩკაშვილი, გოჩა მაკოევი, გივი სისაური.



# ჩვენი საბუთი ჩვენი სიძლიერეა

გაზეთ „სარბიელის" 18 იანვრის (№2) ნომერში დავბეჭდეთ ვრცელი ინტერვიუ მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესთან. მან ისიც გვითხრა, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ჭადრაკის ფედერაციებმა, რომლებიც საერთაშორისო ფედერაციაში (ფიდე) გაწევრიანებისთვის იბრძვიან, გარკვეულ, ეტაპობრივ წარმატებას მიაღწიესო. ჩემპიონმა გვირჩია ამ საკითხთან დაკავშირებით მიგვემართა ნანა ალექსანდრიასათვის, რომელიც ფიდე-ს ქალთა კომისიის თავმჯდომარეა, — ამომწურავ პასუხს ის გაგცემთო.

ჩვენ ტელეფონით დავუკავშირდით ქალბატონ ნანას. მან თქვა: — ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ჭადრაკის ფედერაციები უკვე ორი წელია დაჟინებით ცდილობენ გახდნენ ფიდე-ს წევრები. მათ შესახებ დიდი სჯა-ბაასი იყო ფიდე-ს უკანასკნელ კონგრესზეც. ფიდე-ს ადრინდელი პოზიცია, რომელიც მისი წესდების ერთ-ერთ მუხლს ეყრდნობოდა (თუ არ ვცდები, ეს წესდება 1976 წელს მიიღეს), ასეთი იყო: ერთი ქვეყნიდან ამ ორგანიზაციის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი ფედერაცია.

ახლა ბალტიისპირელებმა ის მოახერხეს, რომ მათ სტატუსს ფიდე-ს ეს მუხლი აღარ ეხება. საქმე ისაა, რომ ადრე, უფრო ზუსტად მეორე მსოფლიო ომამდე მათ თავიანთი ფედერაციები ჰქონდათ, და ფიდე-ს წევრები იყვნენ. ლატვია კი თვით ფიდე-ს შექმნაშიც მონაწილეობდა. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით გაკეთდა გამონაკლისი სამი რესპუბლიკის მიმართ. ახლა, ფიდე-ში მათი გაწევრიანებისთვის იურიდიული წინააღმდეგობა აღარ არსებობს, მაგრამ ლიტვა, ლატვია და ესტონეთი ჯერჯერობით მაინც ვერ აღწევენ მიზანს, რადგან ფიდე მოსკოვის დიდ დიქტატს განიცდის. ჩვენი საქმე კი ამ მხრივ უფრო რთულადაა, ჩვენ ახლა ერთადერთი საბუთი გვაქვს — ძალა, ესე იგი ჩვენი საჭადრაკო სკოლის სიძლიერე.

**— ქალბატონო ნანა, იქნებ სხვა საჭადრაკო საკითხებზეც გვითხრათ ორიოდე სიტყვა? ისიც გავიგეთ, რომ თქვენ, მაია ჩიბურდანიძე და ნანა იოსელიანი მარტში ბრიუსელში მიემგზავრებით ფიდე-ს დიდოსტატთა ასოციაციის პრეზიდენტ, ბელგიელ ბესელ კოკთან მოსალაპარაკებლად.**

— დიახ. საქმე ისაა, რომ ჩემი თაოსნობით ალბათ მალე დაწესდება ქალთა შორის მსოფლიო თასის გათამაშება (ვაჟთა შორის, როგორც ცნობილია ასეთი შეჯიბრება უკვე იმართება). საორგანიზაციო საკითხებსაც მე ვხელმძღვანელობ. ახლა შესამუშავებელი გვაქვს შეჯიბრების სტრუქტურა. მე შემომთავაზეს შემექმნა ხელმძღვანელი ორგანო, დაახლოებით დიდოსტატ ვაჟთა დირექტორატის მსგავსი. მისი წევრები ჩემს გარდა საქართველოდან იქნებიან მაია ჩიბურდანიძე და ნანა იოსელიანი. ბრიუსელში ძირითადად ამ საკითხზე გვექნება საუბარი.

**ნანა ალექსანდრიას ეს ფოტო გადაიღო ჯემალ კახრაძემ 1989 წლის 8 აპრილს მთავრობის სასახლის წინ, მიტინგზე.**

# საბაბი: სადამ ჰუსეინი

## ამაგი დაუფასე, ვერაფერს იტყვი



როგორ ფიქრობთ, რა ღირება ოთხი ოლიმპიური მედალი, ორი მსოფლიო რეკორდი, ევროპის ექვსგზის ჩემპიონობა და უამრავ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვება? ნამდვილად ვერ გამოიცნობთ. ჩვენ კი გეტყვით: 126 მანეთი! სწორედ ამდენ პენსიას იღებს ახლა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი.

სახელოვანი მძლეოსანი ბოლო წლებში თბილისში დინამოელთა კლუბის უფროსი იყო (პოდპოლკოვნიკის წოდებით) და, ცხადია, აღნიშნულ თანხაზე მეტ ჯამაგირს იღებდა. შემდეგ ახალი ზელანდიის ბავშვთა ინსტიტუტმა ორი წლით მისი მიწვევა გადაწყვიტა. მოლაპარაკებაში საარაკო მადით ცნობილი საკავშირო ორგანიზაცია „სოვინტერსპორტი" ჩაერია, რომლის რეკომენდაციითაც ვიქტორ სანეევმა სამსახურში ანგარიში გაასწორა და შორეულ ახალ ზელანდიაში გასამგზავრებლად გაემზადა.

მაგრამ კონტრაქტი არ დაიდო (მიხვდებით, ვისი მიზეზით) და სანეევი, რომ იტყვიან, მშრალზე დარჩა. „სოვინტერსპორტის" მუშაკებმა ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ნიანგის ცრემლები ღვარეს, „ეგ არაფერი, — შემოუთვალეს მათ გაწბილებულ ჩემპიონს, — ხელსაყრელ კონტრაქტს ვეძებთ თქვენთვის, მაგრამ, ხომ იცით, ახლა სპარსეთის ყურეში ომია, ყველგან დაძაბული სიტუაციაა და საქმეს ეს აძნელებს"...

ჯერჯერობით კი 46 წლის ლეგენდარული სპორტსმენი პენსიონერია. როცა ყოველივე ამის გასარკვევად შინ დავურეკეთ, თავმდაბლობით ცნობილმა ჩემპიონმა გვთხოვა, დიდი მნიშვნელობა არ მიგვენიჭებინა ამ ფაქტისათვის. ჩვენთვის ეს თხოვნა, ცხადია, ძნელი შესასრულებელი არ არის, მაგრამ თვითონ შემთხვევაა მნიშვნელოვანი.

ვიქტორ სანეევი, როგორც იცით, საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა, არის საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი. ჩვენს შეკითხვაზე, როგორი ტაქტიკა უნდა გამოიყენოს სეოკ-მა, მან გვიპასუხა: ამჟამად ჩვენს ოლიმპიურ კომიტეტს რეალური ძალა არა აქვს. ჩემი აზრით, პირველ ყოვლისა საჭიროა მჭიდრო კავშირი დავამყაროთ იმ რესპუბლიკების ოლიმპიურ კომიტეტთან, რომლებიც დამოუკიდებლობის გზას დაადგნენ..."

ალბათ უნდა დავეთანხმოთ სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს: საბჭოთა კავშირში ჯერჯერობით ერთი მჭიდრო ოპოზიციური ოლიმპიური ალიანსია — ბალტიისპირეთისა.

გიორგი იოსებიძე

# ნინომ კი მაინც გაიმარჯვა

ამ ერთი თვის წინ თბილისში, თემქის დასახლებაში დოსააფის სასროლეთი გატეხეს. მაგრამ ამის ჩამდენ შეიარაღებულ პირთა ჯგუფს ის ნადავლი არ შეხვდა, რასაც ელოდა: ტირში მხოლოდ პნევმატური (ჰაერდგუშიანი) იარაღი ეწყო. ისინი მაინც წაიღეს.

უაღრესად გართულებული მდგომარეობა და ეს შემთხვევაც გახდა მიზეზი თუ საბაბი, რომ თბილისელ ტყვიის მსროლელებს მილიციამ იარაღი ჩამოართვა და მხოლოდ პნევმატური დაუტოვა. არმიელებმა თავიანთი სპორტული იარაღი წაიღეს და ცენტრალურ ბაზაში ჩაკეტეს. ასევე მოიქცა მილიციის უწყება — „დინამოც". მილიციაში აღმოჩნდა საქართველოს სპორტსახკომის კუთვნილი იარაღიც.

„გადარჩა" მხოლოდ ჩვენი რამდენიმე ცნობილი სნაიპერის, მათ შორის ნინო სალუქვაძის პისტოლეტები. და ნინომ, სწორედ ამ იარაღით მოიპოვა პირველი ადგილი ლვოვში გამართულ საკავშირო პირველობაში. სახელოვანმა სნაიპერმა მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლაში სეზონის დასაწყისის პირობაზე შესანიშნავი შედეგი აჩვენა 600 შესაძლებლობიდან — 590 ქულა მოაგროვა. ფინალში კი ამას კიდევ 98 ქულა დაუმატა.

# კიმონოში და ჩოხაში

ტრადიციულად ჰოლანდიის ორ ქალაქში მოიწვევენ საუკეთესო ძალებს ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებს. ეს შეჯიბრება 16-17 თებერვალს ჩატარდება თბილისის სპორტის სასახლეში. პირველ ორ დღეს შეჯიბრება „კიმონურ ჭიდაობაში" ჩატარდება. შემდეგ სპორტსმენები კიმონოს გაცვლიან ჩოხაზე და „ქართულს" იჭიდავებენ. ასეთია ტურნირის რეგლამენტი, რომელშიც მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს ესპანეთის, პოლონეთის, თურქეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის და სხვა ქვეყნებმა. დამოუკიდებელ გუნდად იასპარეზებს საქართველოს ნაკრები.

სამწუხაროდ, პირველად ამ ტურნირის ისტორიაში მასში მონაწილეობას არ მიიღებენ იაპონელი ძიუდოისტები. ბოლო ხანს მათ უარი განაცხადეს საერთაშორისო რეისებზე თვითმფრინავით ფრენაზე არაბი ტერორისტების შიშით.

16 თებერვალს ჩატარდება ასპარეზობა 95 ზევით, 95, 86 და 78 კგ წონით კატეგორიებში, 16 თებერვალს — 71, 65 და 60 კგ წონებში (აბსოლუტური პირველობა არ შედგება). 17 თებერვალს გაიმართება საერთაშორისო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

## გულშემატკივრის ცნობარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ალბათ მთის სიყვარულმა და მწვერვალთა დაპყრობის დაუოკებელმა სურვილმა განაპირობა, რომ საბჭოთა კავშირში პირველი ალპინისტური ასვლა ქართველმა მთამსვლელებმა განახორციელეს. ეს მოხდა 1923 წლის 28 აგვისტოს, როცა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით ქართველ ალპინისტთა ჯგუფი ავიდა ევროპის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალ მყინვარწვერზე. სხვათა შორის, ამ ექსპედიციაში მონაწილეობდა ხუთი ქალიც — მარო ბეჟანიშვილი, ელენე ლორთქიფანიძე, ასმათ ნიკოლაიშვილი, მარო ტყავაძე და ლიდუსი ჩხეიძე.

ამ ისტორიულ ასვლას ზუსტად კვირისთავზე მყინვარწვერი დალაშქრა კიდევ ერთმა ჯგუფმა — საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სამეცნიერო ექსპედიციამ პროფესორ ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით. ეს ყველაფერი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ 1923 წელს მოხდა. ერთი წლის შემდეგ კი თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფიის კაბინეტისა და 1850 წელს თბილისშივე დაარსებული რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ბაზაზე შეიქმნა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება. ამ საზოგადოების ერთ-ერთი წამყვანი განყოფილება — მთასვლა-მგზავროსნობის განყოფილება — საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შექმნილი პირველი ალპინისტური ორგანიზაცია იყო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართველ მთამსვლელთა ყველა შემდგომ წარმატებას.

კავშირებით ბევრი [illegible] ლეგენდის," ბიკანტური ისტორიის გახსენება შეიძლება. განსაკუთრებით პოპულარული იყო ეს გადმოცემები დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების პერიოდში, როცა ადამიანის ინტელექტუალური ჰორიზონტის გაფართოებამ სტიქიასთან ბრძოლის ახალი, უფრო სრულყოფილი და ეფექტური ფორმები წარმოშვა.

დაახლოებით ამ პერიოდისაა სევდიანი ისტორია მფრინავ ჰოლანდიელზე, რომელმაც იალქნიანი ნავით ერთი უსახელო კონცხის შემოვლა განიზრახა ძლიერ ქარბუქში და ამ თავხედობისთვის ზღვაში სამუდამო ხეტიალით დაისაჯა. იგი დღემდე დაიქროლებს თავის ხომალდს კონცხის გარშემო და ვერაფრით ვერ მისდგომია ნაპირს.

ადვილი შესაძლებელია, ლეგენდის წარმოშობა ვასკო და გამას 1497 წლის ექსპედიციასთან (კეთილი იმედის კონცხის გარშემო) იყოს დაკავშირებული, მაგრამ XVII საუკუნეში ეს ისტორია ერთი ჰოლანდიელი მეზღვაურის სახელს მიუსადაგეს და აქედან წარმოდგა ლეგენდის სახელწოდებაც.

მფრინავი ჰოლანდიელის, იალქნიანი ნავისა და ზღვის სივრცეებში უსასრულო ხეტიალის თემა საკმაოდ დეტალურადაა ასახული მხატვრულ ლიტერატურასა (თუნდაც ჰ.ჰაინე გაიხსენეთ) და მუსიკაში (რ.ვაგნერი და სხვები). სხვათა შორის, ანალოგიურ თემაზეა აგებული ზოგი რომანის (მაგალითად, სტივენსონის „განძთა კუნძული" მისი ცნობილი პერსონაჟებით — ბილი ბონსითა და ცალფეხა სილვერით) თუ ისტორიული ქრონიკის (ამბები ცნობილ პირატებზე კიდზე, დრეიკზე და ა.შ.) სიუჟეტები.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ წყლის, მეზღვაურისა და იალქნიანი ნავის ფენომენი მარადიულ ცხოვრებისეულ თემად დარჩა.

### აფროსნობა

აფროსნობის, როგორც სპორტული დისციპლინის წარმოშობას, საიალქნო ფლოტს უკავშირებენ და, ამდენად, მის ბუნებრივ გაგრძელებად მიიჩნევენ. ამ მოსაზრების დასაბუთება ბოლომდე ისევე ძნელია, როგორც უარყოფა, მაგრამ ლოგიკური კავშირი აფროსნობასა და ფლოტს შორის, ცხადია, არსებობს, რაც, სხვათა შორის, ისტორიული პარალელებითაც მტკიცდება.

ეჭვს არ იწვევს, რომ ჯერ იყო ფლოტი, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ძლიერების სიმბოლო, და მერე ყველაფერი, რაც მასთან მიმართებაშია. უძველესი პოლინეზიური ბაიდარა და სამხრეთამერიკული მოკლენიჩბიანი კანოე ადამიანს არსებობის შენარჩუნებაში ეხმარებოდა, ხოლო მომდევნო პერიოდის რომაული გალერები, ფრანგული ფრეგატები, ინგლისური ბრიგები ან კიდევ ვიკინგთა სკანდინავიური დრაკარები უკვე იმპერიული ამბიციების დასაცავად იყო საჭირო. მაშინ სპორტის შესახებ ცოტა რამ იცოდნენ და მის სერიოზულად არც აღიქვამდნენ.

ზღვებსა და ოკეანეებში მიმოფანტულ იალქნიან არმადებთან დაიმზობენ, აფროსნობა, როგორც სპორტი, ინგლისური წარმოშობისააო. ეს კი არა, აფროსნობის დაბადების ზუსტ თარიღსაც ასახელებენ — 1661 წელს. ეს, სხვათა შორის ასეც არის და არც არის. ყოველ შემთხვევაში, ისტორიული წყაროების თანახმად, იალქნიანი ნავი (იახტა) სპორტული მიზნით პირველად ჰოლანდიაში გამოყენებული. მეტიც, ევროპაში საიალქნო სპორტს იახტინგს უწოდებენ, იახტა კი ჰოლანდიური სიტყვა გახლავთ და 1670 წელს გამოცემულ ინგლისურ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „ჰოლანდიური იალქნიანი ნავი". სხვათა შორის, ოქსფორდის უნივერსიტეტის თანამედროვე ლექსიკონი ამ სიტყვის მნიშვნელობას კიდევ უფრო აზუსტებს — იახტა ჰოლანდიური გამოთქმაა და გამოდევნებას, დაწევას ნიშნავსო. მაშ, რაღა შუაშია ინგლისი და 1661 წელი?



სურათზე: გურამ ბიჟანიშვილი (მარცხნივ) და მისი მოტორისტი გ.ზიბინი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რუბრიკას უძღვება ნოდარ გუგუშვილი






# ხუთი ერის პირველობა

მეორე ტური



## მასპინძლები მთლად გაპარპაშდნენ

ედინბურგი. მარიფილდის სტადიონი. 2 თებერვალი.

**შოტლანდია 32 (18) (4ლ, 2გ, 3ს, 1ა) — უელსი 12 (6) (1ლ, 1გ, 2ს)**

პირველ ტურში გუნდები დამარცხდნენ. მიუხედავად ამისა, უელსის მწვრთნელმა ვოლდრონმა შემადგენლობა უცვლელად დატოვა, შოტლანდიელმა მაკგიქანმა კი მხოლოდ კვაჰი (2) შეცვალა — მილნის მაგივრად ალანს უხმო. მერე ისე მოხდა, რომ ალანი დაშავდა და შერისხული მილნი მაინც გამოვიდა მოედანზე.

თამაშის დასაწყისშივე შოტლანდიელმა ჩალმერსმა (10) და უელსელმა სორბერნმა (15) თითო საჯარიმო შეაგდეს. მერე თანდათან გამოჩნდა მასპინძელთა უპირატესობა: მათმა შერკინებამ უელსისა ერთიანად დაიბრიყვა; ლთ. თამაშში ხომ ხელი ჩითლად არ გაანძრევინა სტუმართა მცველებს, უელსის თავდამსხმელები სტარტშიც დაჯაბნა და სტუმართა გუნდი ლამის უბურთოდ დატოვა. შოტლანდიის ამგვარი უპირატესობა ანგარიშსაც უმალ დაეტყო: მე-20 წუთზე ჩალმერსმა და ალანმა დერეფნიდან შეუტიეს და დერიქ ვაითს (8) ლელო გაატანინეს. ცოტა ხანში არმსტრონგმა (9) გაიტანა მეორე ლელო, რომელიც ჩალმერსმა გარდასახა, რასაც სორბერნის ერთი საჯარიმო მოჰყვა პასუხად — 13:6.

მეორე ნახევარში ჩალმერსმა სამი წუთის განმავლობაში ჯერ მოხდენილად გაიტანა არეკნი, შემდეგ კი არმსტრონგის, თერნბულისა (6) და ჯეფრის (7) იერიში კუთხის ალამთან ლელოს გატანით დააგვირგვინა — 20:6. ამან, ეტყობა, უელსელები შეაფუცხუნა და მათი ერთი იშვიათი შეტევა, არნოლდი (8), სორბერნი, გიბსი (12) და ქართერი (7) რომ მონაწილეობდნენ, ფორდმა (11) ლელოთი დააბოლოვა, სორბერნმა კი ლელო გარდასახა — 20:12.

შეხვედრის დასკვნით ოც წუთში მასპინძლები მთლად გაპარპაშდნენ და კიდევ 12 ქულა მოაგროვეს: გევინ ჰესთინგსმა (15) ერთობ შორიდან ორი საჯარიმო შეაგდო, თამაშის ბოლოს კი მოტრიალებულ შერკინებაში ვაითი დასწვდა ბურთს და გაიტანა ბოლო ლელო, რომელიც გ. ჰესთინგსმა გარდასახა.

## „აიწონა— დაიწონა“

დუბლინი. „ლენსდაუნ როუდის“ სტადიონი. 2 თებერვალი.

**ირლანდია 13 (10) (1ლ, 3ს) — საფრანგეთი 21 (6) (2ლ, 2გ, 3ს)**

ბოლო ათწლეულია, რაც ირლანდიას საფრანგეთთან ბედი აღარა სწყალობს: თუ 80-იან წლებამდე ამ გუნდების ურთიერთშეხვედრათა ბალანსი თანაბარი იყო, ახლა საფრანგეთი ირლანდიას ცხრა მოგებით უსწრებს. ერთი სიტყვით, ირლანდია, თუკი რაიმე სასწაული არ მოხდა და გუნდი ჩემპიონი არ გახდა, საფრანგეთთან აუცილებლად აგებს: პარიზში — უსიტყვოდ, დუბლინში კი ისე, რომ გულშემატკივრებს ნერვები დასწყდებათ ხოლმე. გასახსენებლად ბოლო ორი მარცხიც იკმარებს: 1987 წელს „სამყურა“ (ირლანდია) „მამლებს“ (საფრანგეთი) 10:0 უგებდა და 13:19 წააგო, 1989 წელს კი მასპინძლები 21:7 იგებდნენ, მაგრამ... 21:26 დამარცხდნენ.

ამჯერად საქმე მთლად ასე ველარ აეწყო. ირლანდიის ახალმა მწვრთნელმა, „ბრიტანელი ლომების“ 1983 წლის კაპიტანმა და კვაჰმა (2) ქიარან ფითსჯერალდმა შარშან შემოდგომით, დუბლინში, არგენტინასთან რის ვაინაჩრობით — 20:18 მოგებული თამაშის შემდეგ საფუძვლიანად გადაახალისა „მწვანექვართიანთა“ გუნდი: ვეტერანებიდან მხოლოდ შუამარბები — ბრენდან მალინი (13) და მაიქლ ქირნანი (12), კვაჰი სთივ სმისი და ფრთა (7) ფილ მეთიუზი დაიტოვა, დანარჩენი ადგილები კი ახალგაზრდობას მიანდო. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან შერკინების ნახევარმცველი (9) რობ სონდერსი და გარე ნახევარმცველი (10), ყოფილი ავსტრალიელი ბრაიან სმისი. საინტერესოა, რომ ვიდრე შარშანწინ ბებიის ირლანდიელობის წყალობით ირლანდიის ნაკრებში „ჩაეწერებოდა“, სმისმა ავსტრალიურ „ვოლაბიში“ შვიდი ტესტის თამაში მოასწრო.

ერთი სიტყვით, თავისს პირველსავე მატჩში კაპიტნად დანიშნულმა სონდერსმა და სმისმაც ისე წარმართეს თამაში, რომ ფრანგებმა დიდხანს ვერაფრით გამოიჩინეს თავი. მასპინძლებმა კარგად უწყოდნენ, რომ თუ „მიმღებს“ ბურთაობაში გაეჯიბრებოდნენ, უეჭველად წააგებდნენ. ამიტომ იყო, რომ სმისიც და სონდერსიც მორკინალთაგან მიღებული ბურთებით საფრანგეთის მცველ (15) ბლანკოს ბომბავდნენ და მასზე გარემარბებს — გეგანს (14) და ჰუქსს (11) გეშავდნენ.

ასეთმა ტაქტიკამ მანამ გაამართლა, სანამ ირლანდიის შერკინება საფრანგეთისას უმკლავდებოდა, ხოლო მცველი ქენი მერფი (15) რიგიანად თამაშობდა. როცა მასპინძლები მოიღალნენ და გატყდნენ, აი, მაშინ აიშვეს ფრანგებმა, მანამდე კი თითქოს „აიწონა-დაიწონას“ თამაშობენო, გუნდებიდან ხან ერთი გადიოდა წინ, ხან — მეორე.

ანგარიში ასე იცვლებოდა: კამბერაბერო (10), საჯარიმო — 0:3; ს.სმისი (2), ლელო — 4:3; კამბერაბერო, ისევ საჯარიმო — 4:6; ქირნანი, ორი საჯარიმო — 10:6; ლაფონჯე (11) — ლელო (კონტრშეტევის შედეგად), კამბერაბერო — გარდასახვა — 10:12; ქირნანი, მესამე საჯარიმო — 13:12 და კამბერაბერო, მესამე საჯარიმო — 13:15.

ამ მომენტისათვის სათამაშო კიდევ ოცი წუთი რჩებოდა, მაგრამ ირლანდია ეპიზოდურად თუღა გადადიოდა მეტოქის ნახევარზე. ქირნანსაც ვერა და ვერ ეძლეოდა კარში დარტყმის შანსი, გუნდი წინ რომ გაეყვანა. ასე გაგრძელდა ბოლოსწინა წუთამდე, როცა მოკლე დერეფანში ფრანგმა ლორან კაბანმა (7) ხელთ იგდო ბურთი, მეტოქეები უკან მოიტოვა და გაიტანა გადამწყვეტი ლელო, რომელიც კამბერაბერომ გარდასახა.

მესამე ტური 16 თებერვალს გაიმართება. ჯერჯერობით დაუმარცხებელი ინგლისი შოტლანდიელ უმასპინძლებს, მაჩანჩალა უელსი კი კარდიფში ირლანდიას ეთამაშება. საფრანგეთი ამ ტურში ისვენებს.

რაც შეეხება წინა ტურში მომხდარ სკანდალს, როცა ინგლისელებმა მატჩის შემდგომ ინტერვიუზე ჟურნალისტებს უარი უთხრეს, ქვეყნის რაგბის კავშირმა მოთამაშეებს, ნაკრების მენეჯერ ქუქს, მწვრთნელ ათლისა და კაპიტან ქარლინგს დატუქსვა აკმარა და სიტყვა ჩამოართვა, რომ ასე „მეტს აღარ იზამენ“.

**ზაალ ბიბინეიშვილი**

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 36:23 | 4 |
| ინგლისი | 1 | 1 | 0 | 0 | 25:6 | 2 |
| შოტლანდია | 2 | 1 | 1 | 1 | 41:27 | 2 |
| ირლანდია | 1 | 0 | 1 | 1 | 13:21 | 0 |
| უელსი | 2 | 0 | 2 | 2 | 18:57 | 0 |

სურათზე: შოტლანდიელთა მესამე ხაზის მოთარეშე მორკინალები: „თეთრი ზვიგენი“ ჯონ ჯეფრი (ბურთით) და დერიქ ვაითი (8).





# ოჯახის უკეთესი წევრის ძებნაში

საქართველოში სინქრონული ცურვა ჩვენს თვალწინ, თბილისში დაიბადა. ერთი ზღაპრის გმირისა არ იყოს, სხვები თუ წლობით იზრდებოდნენ, ჩვენი ამ სახეობის წარმომადგენლები დღითიდღე ტანს იყრიდნენ და წყალზე ფიგურების ქარგვაში საბჭოთა კავშირის უძლიერეს სპორტსმენებს ეჯიბრებოდნენ. ეჯიბრებოდნენ და თანდათან სჯობნიდნენ კიდეც. ამ საქმეში ბოლოს ისე დახელოვნდნენ, ლიდერები გახდნენ და, თუ მანამდე მეტოქეებისაგან სწავლობდნენ, ახლა მათ გამოცდილებას სხვები იზიარებენ. რატომაც არა, განა ბევრი გუნდი მოიწონებს თავს საკავშირო თასის იმდენი მფლობელით, რამდენიც ჩვენა გვყავს? საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების სათვალავი სხვებსაც ისე ერევათ, როგორც ჩვენ? მეტიც, ჩვენმა წყლის ფერიებმა ხომ ევროპის ჩემპიონატებზეც მოიპოვეს ოქროს მედლები. ამ წარმატებას საქართველოს ნერეიდები თავიანთი უფროსი მწვრთნელის, მოსკოვიდან მოწვეული და აქ საცხოვრებლად დარჩენილი ნატალია მაშუკის ხელმძღვანელობით აღწევენ. მას ჩვენს მწვრთნელებთან ერთად ეხმარებოდა ასევე მოსკოველი ირინა სიდოროვა. მართალია, საქართველოში თავიანთი მოღვაწეობა მათ, როგორც იტყვიან, ნულიდან არ დაუწყიათ, მაგრამ ჩვენი წარმატებები, უწინარეს ყოვლისა, სწორედ მაშუკის სახელთანაა დაკავშირებული.

ერთი სიტყვით, საქართველოში სინქრონული ცურვა, დღიდან მისი დაბადებისა, ერთთავად აღმავლობის გზაზე იყო.

ასე მიილია შარშანდელი წელიც, მაგრამ, როგორც იტყვიან, ეშმაკს არ სძინავს. ამას რომ ვამბობთ, გვახსენდება სპორტის სხვა სახეობები, რომლებშიც თავიდანვე დიდ წარმატებებს მივაღწიეთ, მაგრამ ამან თავბრუ დაგვახვია და მონაპოვარი გაზაფხულის თოვლივით უმალ ხელში შემოგვადნა.

ასეთი შედარება მხოლოდ კარს მომდგარმა გაზაფხულმა როდი გაგვახსენა. სამწუხაროდ, დღეს საქართველოს სინქრონული ცურვის ოსტატთა ნაკრებში ისეთი მდგომარეობაა, თუ მართლა ასჯერ გაუზომავად გავჭერით, შესაძლოა მართლა დიდი ხნით შევფერხდეთ. საქმე ის გახლავთ, რომ ხრისტინა ფალასინიდი შარშან, წლის მიწურულს, საბერძნეთში გადავიდა საცხოვრებლად. ეს კიდევ არაფერი — ხომ ვიცოდით, ადრე თუ გვიან ხრისტინა სპორტს მიატოვებდა და თავს მაინც მშვიდად ვგრძნობდით, რადგან თბილისში მისი ღირსეული შემცვლელი — ნინო მაისურაძე გვეგულებოდა და ახლაც გვეგულება. მაგრამ ხრისტინას საბერძნეთში თან გაჰყვა საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელიც.

საქართველოს ნაკრების გასაჭირი ამით არ დასრულებულა. გუნდი მიატოვა მწვრთნელმა სვეტლანა სიდოროვამაც, რომელმაც მოსკოველთა რომელიღაც შოუს გუნდთან ერთად ისრაელს მიაშურა სამუშაოდ. ჩვენი გუნდის დანაკლისი არც ამით ამოწურულა — გათხოვდა და სპორტიდან წავიდა საქართველოს ნაკრების წევრი, გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონი, ქუთაისელი ნინო ჩანქსელიანი, რომელზეც ჩვენც, სინქრონული ცურვის მოყვარულებიცა და სპეციალისტებიც დიდ იმედებს ვამყარებდით.

ეს ყველაფერი, ერთად აღებული, უთუოდ დიდი დანაკლისია და მართლაც მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავს. მაგრამ ერთია „მეხის გავარდნა“,

და მეორე — „მეხის გავარდნას ჰგავს“. მოდით, ყოველივე ამას მშვიდად შევხედოთ და ის ტიალი მეხის გავარდნა „უბრალოდ“ ჭექა-ქუხილად ჩავთვალოთ. აქვე გავიხსენოთ ისეც: „ისე არა წვიმს, როგორც ქუხსო“.

თუ ჩვენი გუნდის დღევანდელობას რეალურად შევაფასებთ, ვფიქრობთ, განგაშის ზარის შემოკვრა ჯერჯერობით არ გვჭირდება. დანაკლისი დიდია, მაგრამ ეს სულაც არ გვაძლევს საფუძველს, იმედი გადავიწუროთ. ნატალია მაშუკმა აქ, როგორც იტყვიან, აწყობილი საქმე დატოვა. ჩვენმა მწვრთნელებმა ბევრი რამ ისწავლეს მასთან მუშაობით. ახლა მთავარია უფროსი მწვრთნელის არჩევაში არ შევცდეთ. ნათქვამია, „მწყემსად ოჯახის უკეთესი წევრი უნდაო“. ოჯახის ასეთ წევრად სპეციალისტები ქუთაისელ ტატიანა კოსტარევას მიიჩნევენ და, ვფიქრობთ, სამართლიანადაც. ის, რომ საქართველოს ნაკრებში თბილისელებთან ერთად მხოლოდ ქუთაისელები არიან, სწორედ კოსტარევას დამსახურებაა. სწორედ მისი აღზრდილია გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონი ჩანქსელიანი. ტატიანას აზრს ანგარიშს უწევენ საკავშირო ნაკრების მწვრთნელებიც. ერთი სიტყვით, იგი ავტორიტეტია მწვრთნელებისთვისაც და სპორტსმენებისთვისაც.

სპეციალისტები ფიქრობენ, რომ კოსტარევასთან ერთად კარგი „ტანდემი“ უნდა შექმნას ლელა მამიაურმა, რომელიც ახლო წარსულში სინქრონული ცურვის ოსტატი იყო. მას მოპოვებული აქვს საკავშირო თასიც და სსრ კავშირის ჩემპიონატების მედლებიც. მერე მან მწვრთნელად დაიწყო მუშაობა და აქაც დიდი მონდომებით გამოიჩინა თავი.

ერთი სიტყვით, საქართველოში უკვე გვყავს კარგი სპეციალისტები და მწვრთნელის საძებრად ცხრა მთას იქით სიარული აღარ უნდა დაგვჭირდეს, მით უმეტეს, რომ ჩამოყვანილები, თუნდაც ჩიტის რძე არ მოვაკლოთ, როგორც არაერთხელ დავრწმუნდით, აქ დიდხანს არ რჩებიან. ახლა მთავარია, როგორც ვთქვით, არჩევანში არ შევცდეთ. მანამდე კი საქართველოს ნაკრების მწვრთნელის მოვალეობას ასრულებს ეკა ჯაფაროვა, რომელიც ასევე დიდი მონდომებით მუშაობს.

და მაინც, ერთია თავის დროზე კარგი სპორტსმენის და მეორე — კარგი სპეციალისტის სახელი, მაგრამ ყველა უფროსი მწვრთნელი ხომ ვერ იქნება? მეთაურობა ყველამ რომ იცოდეს, ყველა მეთაური იქნებოდაო. მეთაურს რაღაც სხვა თვისებაც უნდა ჰქონდეს. ალბათ ისეთი, შეუპოვარ ჟურნალისტებს რომ აქვთ — თუ კარებიდან გამოაგდეს, ფანჯრიდან გადაძვრებიან. სხვათა შორის, სპეციალისტები მაშუკს ასეთი შეუპოვრობითაც გამოარჩევდნენ.

ახლა რამდენიმე სიტყვა ჩვენს სპორტსმენებზე. ზევით ფალასინიდის მემკვიდრე ნინო მაისურაძე ვახსენეთ. იგი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია, იყო გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონი, სსრ კავშირის ჩემპიონი... ნინო უდავოდ დიდი პოტენციური შესაძლებლობების მქონე სპორტსმენია და, თუ აქამდე მეტს ვერ მიაღწია, ეს მისი ბრალი სულაც არ არის. „უბრალოდ“, საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელებს საქართველოსთვის ერთი სპორტსმენის ლიდერობაც ზედმეტად მიაჩნდათ და, ცხადია, ყოველნაირად უშლიდნენ ხელს მეორის დაწინაურებას. ახლა ფალასინიდი აღარც საქართველოს ნაკრებსა ჰყავს, აღარც საკავშიროს. ამდენად, სავარაუდოა, რომ მაისურაძეს გზა გაეხსნას.

საქართველოში კიდევ არიან უფრო ახალგაზრდა, იმედისმომცემი სპორტსმენები. ამასთან, ჩვენი გუნდი სწორ გზაზე დგას. თუ ამ გზიდან გადაუხვევს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ საშველი არ ყოფილა და ბაქი-ბუქის მეტი არაფერი შეგვძლებია.

**ავთანდილ გურასაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ ცხოვრობ, ჩემპიონო?

## ინტერვიუ „ტოიოტაში“

**ცნობილი სპორტსმენი თავისი დიდების წლებში უველას თვალწინაა. შემდეგ დგება სპორტთან გამოთხოვების ხანა და იგი ხშირად გვეკარგება თვალთახედვიდან. მერე სადღაც, ან რომელიმე საიუბილეო ღონისძიებაზე „ალმოგაჩენთ“ ხოლმე — ვის მობერებულს, ცხოვრების მდორე მდინარებას აყოლილსა და უხალისოს, ვის — ილგალშერჩენილს, ახალი საქმით გატაცებულსა და ენერგიულს...**

ლევან თედიაშვილი თავის ახალთახალ, ჯიპის ტიპის „ტოიოტას“ მარცხენა კარს მიადგა, შეიკურთხა, კიდევ ვერ მივეჩვიეო, და მარჯვენა კარისკენ შემოუარა, საითაც საჭე ჰქონდა მანქანას. ძალზე ჩქარობდა და მანქანაშივე მოგვიხდა ინტერვიუს ალება, რომელიც შემდეგ მის ბინაშიც გავაგრძელეთ, სადაც რამოდენიმე წუთით შევირბინეთ.

**— გაჩუქეს თუ იყიდეთ ეს მანქანა? ვიღაცამ მითხრა, იაპონელებმა აჩუქესო.**

— არა, ვიყიდე.

**— თუ არ ვცდები, გულშემატკივრებმა მას შემდეგ დაგკარგეს თვალთახედვის არიდან, რაც ქალაქის სპორტკომიტეტში მუშაობას დაანებეთ თავი და იაპონიაში წახვედით. სად მუშაობთ?**

— ცნობილი კეტჩისტის ანტონიო ინოკის პროფესიულ მოჭიდავეთა ფირმაში მთავარი კონსულტანტი ვარ. ასევე თავისუფალ ჭიდაობას ვასწავლი ტოკაის უნივერსიტეტში. საათები მაქვს, სემესტრის დროს ჩავდივარ ხოლმე, ისევე, როგორც სხვა სპეციალისტები. იქ, პირველ ყოვლისა, ჩემი ტიტულები აინტერესებთ.

**— კმაყოფილი ხართ იაპონიაში მუშაობით?**

— არც იმდენად. მატერიალური მხარე ერთია, საქართველოს რატომ უნდა ვიყო მოწყვეტილი? მაგრამ, პროფესიული თვალსაზრისით, იაპონიაში მუშაობამ ბევრი რამ მომცა, ბევრი რამ ვნახე და ეს გამოცდილება იქ, ჩემს მომავალ საქმიანობაში გამომადგება.

**— როგორ მოგეწონათ იაპონელი თანამოსაქმეები?**

— ნამდვილი აზიელები არიან. იაპონელი ერთს ფიქრობს, მეორეს ლაპარაკობს, მესამეს აკეთებს. მათთან ფრთხილად უნდა იყო, თორემ მშრალზე დარჩები. ჩემთანაც ერთი-ორჯერ სცადეს მსგავსი რამ, მაგრამ მათთვის ადვილი მოსატყუებელი კაცი არ აღმოვჩნდი. გაუკვირდათ კიდეც და, მგონი, უფრო კარგი თვალით დამიწყეს ყურება.

**— ზოგი ფიქრობს, რომ სპორტსმენი აუცილებლად სპორტში უნდა მუშაობდეს.**

**— არა, მე ამას აუცილებლად არ ვთვლი. სხვას გეტყვით: არასპორტსმენი უნდა იყოს სპორტში?**

**— ბატონო ლევან, რა დასამალია ბევრ ცნობილ სპორტსმენს თავისი სახელის გამო აჩუქებენ ამა თუ იმ ხელსაყრელ სამუშაოზე ისე, რომ არავინ იცის, გაამართლებს თუ არა იგი დაკისრებულ მოვალეობას. ამით არც ისე იშვიათად სპორტსმენი თავის სოციალურ ფუნქციას კარგავს. მისი ნიჭი ქვეყანას მხოლოდ იმ პერიოდში ადგება, როცა იგი ხალიჩაზე გამოდის. შემდეგ მას, ასე ვთქვათ სახელი ინახავს, თუმცა სხვა შემთხვევაში ვინ იცის, შემდეგშიც რამდენ სასარგებლო საქმეს გააკეთებდა.**

— მე თვითონ სპორტისთვის თავის დანებება რომ დავაპირე, სახლში ვიჯექი და მაწვალებდა, პირდაპირ მტანჯავდა აზრი: მე რა გამეკეთებინა, რით შემენახა ოჯახი, რით გადამეხადა, ვთქვათ, სინათლის გადასახადი. ამხელა თექვსმეტსართულიან კორპუსში რომ ვცხოვრობ, ხომ ვიღაცა მოკვდება, ორი კაპიკი ხომ უნდა დადო?.. სპორტსმენს ამ დროს სჭირდება დახმარება, სჭირდება მრჩეველი, ვინც გზაზე დააყენებს.

ბევრი ვალის აღებით იწყებს, მეტი გზა არა აქვს. აცხადებენ ტელევიზორში, ჩვენი სახელოვანი ჩემპიონიო, მეზობელი ანდა ნაცნობი კი გულში იცინის, ამ გლახას ჩემი ორასი მანეთი მართებს, თავი ვერ შეუნახავსო... სამუშაოც თუ უშოვეს, ცდილობენ მისი სახელი გამოიყენონ, უკანონო საქმე გააკეთებინონ, რაღაც დოკუმენტებზე მოაწერინონ ხელი... ისე ვინ რას მოგცემს. თუ კი მაინც მოგცეს, უკვე ვალდებული ხდები, უხერხულად გრძნობ თავს, ფიქრობ, რით გადაუხადო.

ერთი ნაცნობი მყავს, გოლუბევი, საკავშირო ტელევიზიაში მუშაობს. გადამეკიდა, ინტერვიუს მეხვეწებოდა. უკაცრავად, ჩემი ნათქვამს ტელევიზორში არ გამოუშვებენ-მეთქი. არა, ახლა სხვა დროაო. მაინც არ გაუშვეს... გოლუბევმა მკითხა, ფული თუ გიყვარსო. პირდაპირ უთხარი, მიყვარს-მეთქი. იმათ კი მეტისმეტად პირდაპირ პასუხად მიიჩნიეს და აღარ გაუშვეს.

აი იმიტომ ვთქვი, რომ ფული ცხოვრების საშუალებას გვაძლევს. ოღონდ გააჩნია, როგორ იშოვი ფულს. ყაჩაღობა და ქურდობა ჩემი საქმე არ არის, ჩემი ბუნება ამას ვერ მიიღებს. ახლა, კიდევ კარგი, ბიზნესს თავისი სახელი დაერქვა. ადრე მას საქმოსნობას ეძახდნენ და ხალხს იჭერდნენ. ფულის ხსენებაც არ შეიძლებოდა, რომ გეხსენებინა, უკვე ცუდი კაცი იყავი... არადა, თუკი ბევრი ფული გექნება, სხვებსაც ხომ კარგად დაეხმარები.

**— სპორტის დღევანდელ მდგომარეობაზე რას იტყვით?**

— ყველა ქვეყანაში სპორტს სპონსორი ჰყავს, ყველაზე მთავარი სპონსორი კი სახელმწიფოა. სპორტს ძალიან დიდი სახსრები სჭირდება. ოღონდ ისე არ უნდა გაიგოს ვინმემ, რომ ამას ვიღაცას ტყუილად აძლევენ ეს ფული მათი შვილების ჯანმრთელობაზე იხარჯება. იაპონიაში საბავშვო ბაღი და ბაგა არ არის, საცურაო აუზი რომ არ ჰქონდეს. ადრე ბავშვი ფიზიკურად შრომობდა, ბევრს მოძრაობდა და ჯანმრთელი იყო. ახლა ერთადერთი გამოსავალი სპორტია, სპორტული ბაზები. იმათი 80 პროცენტი, ვინც ჩვენთან სპორტში მუშაობს, თავს უღირსი ადამიანად თვლის. რატომ? ვისზე ნაკლებნი არიან, გინდა ფიზიკოსზე, გინდა ქიმიკოსზე...

ტყუილად ვარჯიშობენ ამდენს კაპიტალისტურ ქვეყნებში? თბილისში საერთაშორისო ტურნირზე ჯონ პეტერსონი ჩამოვიდა და მნახა. მე ადამიანური ფორმა დაკარგული მქონდა (ლევან თედიაშვილმა ღიპზე ჩამოისვა ხელი,— გ.ჩ.), ის კი ახლაც ნამდვილი ათლეტია. მითხრა, მე ჯანმრთელობა იმიტომ მინდა, რომ ხუთი შვილი მყავს გასაზრდელიო. დამნაშავედ ვიგრძენი თავი, ესე იგი ჩემი შვილების მტერი გამოვედი. ჩვენ თეორიულად კი ვიცით, რომ უნდა ვივარჯიშოთ, მაგრამ ამისთვის ფსიქოლოგიურად არა ვართ მზად.

**— როგორ შეხვდით ძველ მეტოქე?**

— იმიტომ მომწონს ამერიკელები, რაღაცნაირად ბუნებრივი ხალხია. აი, ძმები პეტერსონები ავიღოთ, ერთს მიუნხენში წავართვი ოქროს მედალი, მეორეს — მონრეალში. ზოგი ასეთ შემთხვევაში შეგიძულებს. ესენი კი, ვითომც არაფერი... კარგად ესმით, რომ პატიოსანი ორთაბრძოლა იყო და სპორტში ყველაფერი ხდება.

**— ხშირად გახდებათ ხმა?**

— ბოლო ხანს რაც შემიძლია, თავს ვიკავებ. ძალიან ცოტას ვსვამ. საერთოდ, ყველასთან არ უნდა დალიო.

**— იქნებ ახლა ცოტა ძველი ამბები გავიხსენოთ. როგორ დაინიშნეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ?**

— კოლმეურნეობა? ეს კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული. რა მინდოდა მე კოლმეურნეობაში? ძველი სიტუაციისა და სისტემის ბრალი იყო. უმაღლესი ფიზკულტურული და იურიდიული განათლება მაქვს. ვერ ვიტყვი ბრწყინვალე იურისტი ვარ-მეთქი, მაგრამ კოლმეურნეობაში მაინც არ უნდა გავეგზავნეთ. ერთმა თუ რამდენიმე პიროვნებამ გადაწყვიტა ეს.

ეს კია, რომ ალბათ იფიქრეს: მე ჩემი ავტორიტეტით, შეიძლება კარგი საქმეები გამეკეთებინა. ყოველ შემთხვევაში, ცუდი არაფერი გამიკეთებია, ვცდილობდი, რაც შემეძლო.

იქ წავაწყდი პირველად სოფლის პრობლემებს. ახალგაზრდობის მიგრაციის მიზეზებს... მიწამ პატრონი დაკარგა. საკარმიდამო ნაკვეთები სამართლიანად არ რიგდებოდა. კანონები იყო ასეთი. ახალგაზრდებს გასაქანი არ ჰქონდათ, რომ ცალკე დასახლებულიყვნენ და ოჯახი შეექმნათ.

**— სინანულით ხომ არ იგონებთ კახეთის კოლმეურნეობაში გატარებულ წლებს?**

— არა, ის ჩემი ბედნიერი წლები იყო. დავამტკიცე, რომ ხალიჩის გარეთაც შემეძლო რაღაცის გაკეთება. მე „ცხებში“ ვერ ვიმუშავებდი, ამის ხასიათი არა მაქვს. ისედაც კონფლიქტურ კაცს მეძახიან.

უკვე გითხარით, გლეხების გაჭირვება ვნახე-მეთქი. ნაწილობრივ ისინიც ტყუიან: უფრო მეტს ითხოვენ, ვიდრე მოცემა უნდათ. თუმცა, რა გინდა თქვა, ასე მიაჩვიეს, ხან აძლევდნენ საქონლის ყოლის ნებას, და ხან ართმევდნენ. ჯერ — „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ და მეორე — „მთას დაუბრუნდი მთიელი“... ასეთი ლოზუნგები იყო. აქ არ აძოვო საქონელი — სატყეო მეურნეობის ზოლია, იქ სათესი მიწააო და ასე შემდეგ. ლიფტით ხომ არ ატარებენ საქონელს?

**— კოლმეურნეობიდან წამოსვლის შემდეგ და უფრო გვიანაც აღარ გაწვალებდათ ის აზრი, რა გაეკეთებინათ?**

— როგორ არა, ზოგჯერ პირდაპირ გიჟს ვგავდი. კოლმეურნეობიდან აღარ უნდა წამოვეყვანეთ. იაპონიაშიც ჩემი ინიციატივით წავედი... ჩვენთან მალე იციან დავიწყება. იყო დრო, მთელი ორი წელი არავინ დაინტერესებულა, რას ვაკეთებდი, რით ვარსებობდი. აგერ სანეევის მაგალითი აიღე... მარტო სპორტსმენებს კი არა, ალბათ სხვებსაც ასე ივიწყებენ, მეცნიერებს, გამომგონებლებს...

**— ახლა ხშირად არის ლაპარაკი ჩვენი სპორტის საკავშიროსაგან გამოყოფაზე.**

— იმ ეტაპზე გამოყოფა მე ნაადრევად მეჩვენება. საერთოდ, ჯობი საწყალ ხალხზე არ უნდა გადატყდეს. სპორტსმენს სამიოთხი წელი აქვს, რომ რაღაც გააკეთოს. სანეევისთანა დღეგრძელები თითოოროლა არიან. კარგით, გამოვეყავით, მერე... იმ ახალგაზრდამ რაღა გააკეთოს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონობაზე ოცნებობს? ხომ გადაეკეტა. ჩემპიონობა კი რას იძლევა? სახელსა და ხალხის სიყვარულს, მეტს არაფერს.

**— მაგრამ ხომ შეიძლება უფრო აქტიურად ვეძებოთ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი? ეს ხომ ყველაზე უკეთ თქვენ, ტიტულოვან სპორტსმენებს შეგიძლიათ. თვითონ თუ სცადეთ რამე?**

— ვცადე. მაგალითად, გუშინ ველაპარაკე ფილა-ს მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარეს მარტინეტის. პირდაპირ ანეკდოტად მიიღო ჩემი ნათქვამი. იაპონელებთანაც მილაპარაკია. მათაც ეს ამბავი აბსურდად მიაჩნიათ. საერთოდ, ეს საკითხი სპორტსმენთა დონეზე არ უნდა გადაწყდეს. ეს მთელი ჩვენი პარლამენტისა და მთავრობის საქმეა, მათ უნდა მისცენ მიმართულება სპორტსმენებს.

სხვა საქმეა, თუ რომელიმე სპორტსმენმა ანდა სპორტსმენთა ჯგუფმა თვითონ, თავისი ნებით გადაწყვიტა საკავშირო ფედერაციიდან გამოყოფა. მაგრამ ამ გადაწყვეტილებაშიც იაფფასიანი პროვინციალიზმი არ უნდა ერიოს. გულდასმით უნდა მოვიფიქროთ ყველაფერი.

**— თქვენზე ათასი ჭორ-მართალი დადის. სხვათა შორის, ამას წინათ არც ისე სასიამოვნო რამ მოვისმინე.**

— ყოველთვის ასეა, ზოგს უყვარხარ, ზოგს ეჯავრები და ცდილობს ჭორი დაგიყაროს. ჭორი კი ყოველთვის ჭორია.

**— საკავშირო ნაკრებში ხომ არ ჩაგრავდნენ?**

— ძველი ამბების გამო ჩივილი აღარ ღირს. ერთს კი გეტყვით: ნაკრებში ორი თავით მაღლა უნდა მდგარიყავი კონკურენტზე. მოსკოვის ოლიმპიადის წინ საკავშირო სპორტკომიტეტმა და ჭიდაობის ფედერაციამ ყველაფერი გააკეთეს, რომ მესამედ არ გავმხდარიყავი ოლიმპიური ჩემპიონი. თუმცა ამ განახევრებულ შეჯიბრებას და კიდევ ლოსანჯელესის ოლიმპიადას ბევრი ოლიმპიადებად არც კი თვლის.

კიდევ ვიმეორებ, ძველ ამბებზე აღარ ღირს ლაპარაკი. აბა, კარგად მოიქცა შახმურადოვი, რომ მოდგა და გაზეთში ათასი ტყუილი თქვა ჩემზე? ახლა ხომ ნათელია, ვინ იყო მართალი?

**— ის თუ არის მართალი, რომ თქვენ და ივან იარიგინი ნიუ-იორკის ზანგთა უბანში, ჰარლემში, ზანგების მთელ რაზმს მოერიეთ?**

— კი, ჩხუბი კარგი ვიცი, მაგრამ, ნათქვამია, მჯობზე მჯობნი არ დაილევაო. ჩხუბზე ადვილი რა არის, ვაჟკაცობა ისაა, არ იჩხუბო.

ის ზანგები ძალიან უზრდელად მოიქცნენ. მათი შემყურე, მიკვირს, როგორ ითმენენ ამერიკელები.

**— მერე პოლიციამ არაფერი გითხრათ. ჭუჩაში ჩხუბი ამერიკაში...**

— პოლიცია მაშინ მოვიდა, როცა ყველანი ძირს ეყარნენ. წაგვიყვანეს მე და იარიგინი პოლიციაში და... შერიფის საპატიო ნიშნით დაგვაჯილდოვეს (ორგზის ოლიმპიურმა და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონმა იქვე გვიჩვენა ყველა ჩვენგანისთვის ამერიკული ფილმებიდან კარგად ნაცნობი თუნუქის ხუთკუთხა ვარსკვლავი,—გ.ჩ.).

**— ამბობენ, ირანში, რომ შაჰის საყვარელი ფალავანი არ წაგექციათ, დიდძალი ქრთამი შემოგთავაზეს.**

— არ ვიცი, ის მოჭიდავე მართლაც შაჰის საყვარელი ფალავანი იყო თუ არა. ფული კი შემომაძლიეს. ვიცოტავე. კიდევ დაამატეს. ამ ვაჭრობა-ვაჭრობაში თანხა ასი ათას დოლარამდე ავიდა. მერე გავედი ხალიჩაზე და იმათი ფალავანი შაჰის თვალწინ დავამარცხე. ფული აღარ მოუციათ...

**— მართალია არ დაგენანათ ასი ათასი?**

— გაყიდული შეხვედრით არავინ გამდიდრებულა. მერე, შვილები მყავს, თვალებში როგორ უნდა შემეხედა...

**— კიდევ დიდხანს იმუშავებთ იაპონიაში?**

— არა, სამ თვეში მიმთავრდება კონტრაქტი.

**— და კიდევ მოგიწევთ ფიქრი იმაზე, რა უნდა გააკეთოთ?**

— არა, ეს ეტაპი მე უკვე გავიარე. ახლა უკვე კარგად ვიცი, რას გავაკეთებ აქ, თბილისში.

ესაუბრა
გიორგი ჩოჩიშვილი

გია ახალაძის ფოტო





ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ტექნიკური შედეგები

## სამთო თხილამურები

მსოფლიო ჩემპიონატი. ზაალბაჰი (ავსტრია). 27 იანვარი. სლალომი-სუპერგიგანტი. ქალები. 1. ულრიკე მაიერი (ავსტრია) — 1.08,72; 2. კაროლ მერკელი (საფრანგეთი) — 1.08,83; 3. ანიტა ვახტერი (ავსტრია) — 1.08,85. 28-31 იანვარი. კომბინაცია. ქალები. სწრაფდაშვება. 1. საბინე გინტერი (ავსტრია) — 1.18,27; 2. პეტრა კრონბერგერი (ავსტრია) — 1.18,58; 3. შანტალ ბურნისენი (შვეიცარია) — 1.18,69. სლალომი და ორჯიდის ჯამი. 1. ბურნისენი — 1.26,08. (26,45 ქულა); 2. ინგრიდ შტიოკლი (ავსტრია) — 1.25,91 (33,76); 3. ფრენი შნაიდერი (ავსტრია) — 1.23,14 (42,13). ვაჟები. სწრაფდაშვება. 1. კრისტიან გედინა (იტალია) — 1.42,52; 2. ვილიამ ბესე (შვეიცარია) — 1.43,42; 3. იან-ეინავარ ტორხენი (ნორვეგია) — 1.43,55. სპეციალური სლალომი და ორჯიდის ჯამი. 1. სტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) — 1.33,87 (18,28); 2. გედინა — 1.33,55 (26,41); 3. გიუნტერ მადერი (ავსტრია) — 1.34,90 (27,54). 1-3 თებერვალი სპეციალური სლალომი. ქალები. 1. ფრენი შნაიდერი (შვეიცარია) — 1.25,90; 2. ნატაშა ბოკალი (იუგოსლავია) — 1.26,06; 3. ინგრიდ სალვენმოზერი (ავსტრია) — 1.26,56. გიგანტური სლალომი. ქალები. 1. პერნილა უიბერგი (შვეცია) — 2.07,45; 2. ულრიკე მაიერი (ავსტრია) — 2.07,61; 3. ტრუდლ გაკერი (გერმანია) — 2.08,03. ვაჟები. 1. რუდოლფ ნირლიჰი (ავსტრია) — 2.29,94; 2. ურს კოლინი (შვეიცარია) — 2.30,29; 3. იოჰან ვალნერი (შვეცია) — 2.30,79.

## ძიუდო

საბჭოთა კავშირის მე-5 ჩემპიონატი. მინსკი — 24-27 იანვარი. ქალები. 72კგ ზევით: 1.სგუნდარენკო (ჩელიაბინსკი); 2. ვ.კაზულინა (თბილისი); 3. ო.ტარასოვა (მოგილიოვი) და ე.ტუშინა (ლენინგრადი). 72კგ: 1. ე.ბესოვა (ლენინგრადი); 2. ტ.ბელიაევა (ლვოვი); 3. ნ.სლივაევა (კიევი) და ო.ლიზუნოვა (მინსკი). 66კგ: 1. ე.ტუსივა (მოსკოვი); 2. ს.სელიხანოვა (ორშა); 3. ე.კოტელნიკოვა (ლიპეცკი) და ო.მატვეევა (სამარა). 61კგ: 1. ე.პეტროვა (ლენინგრადი); 2. ტ.ბოგომიაკოვა (პერმი); 3. სოზერკინა (მოსკოვი) და რ.ცენანავიჩუტე (ძერჟინსკი). 56კგ: 1. ტ.ვოლობუევა (სურგუთი); 2. ზ.ჰუსეინოვა (ბაქო); 3. ი.ტორობეევა (მინსკი) და ტ.კოზლევიჩი (ნეფტეიუგანსკი). 52კგ: 1. ტ.გავრილოვა (ლვოვი); 2. მ.კონიშენკო (ჩერნოგორსკი); 3. მ.კოვრიგინა (ირკუტსკი) და დ.მაკსუტოვა (ორუნზე). 48კგ: 1. ტ.კუვშინოვა (ძერჟინსკი); 2. ო.კოსკინა (ძერჟინსკი); 3. ი.პავლენინა (პერმი) და ე.შილოვა (ანგარსკი). აბსოლუტური პირველობა: 1. სლისავსკაია (კიევი); 2. სგუნდარენკო (ჩელიაბინსკი); 3. ნ.დოლგუშევა (იოშკარ-ოლა) და გ.ნესტეროვა (მაიკოპი).

## თავისუფალი ჭიდაობა

XXX საერთაშორისო ტურნირი ვ.ბალავაძის სახელობის პრიზზე. თბილისი. 1-3 თებერვალი. 48კგ: 1. ნასერე ზაინალია (ირანი); 2. ნამიკ აბდულაევი (სსრკ); 3. კიმ იანგ ში (სამხრეთ კორეა). 52კგ: 1. სასუნ ეგზატიანი (სსრკ); 2. ზიგ ჯონსი (აშშ); 3. მიხეილ კუშნირი (სსრკ). 57კგ: 1. ბაგავდინ უმახანოვი (სსრკ); 2. გივი სისაური (საქართველო); 3. მაჰომედ ზალპაური (ირანი). 62კგ: 1. გეჩო რაშიდოვი (სსრკ); 2. ნაიზბეკ ანტუევი (სსრკ); 3. რუსლან კარაევი (სსრკ). 68კგ: 1. გოჩა მაკოევი (საქართველო); 2. გიორგი ხინჩიკაშვილი (საქართველო); 3. ემონ გიურა (აშშ). 74კგ: 1. დეივ შულცი (აშშ) და ხაიგიდ კატინოვასოვი (სსრკ); 3. ისაგაჩი გაჩიევი (სსრკ). 82კგ: 1. ავთანდილ გოგოლიშვილი (საქართველო); 2. ჯონი მოდოსიანი (საქართველო); 3. რეის ალჯერი (აშშ). 90კგ: 1. კრის კემბელი (აშშ); 2. ვაგაბ კაზიბეკოვი (სსრკ); 3. რუდიკ არუთუნიანი (სსრკ). 100კგ: 1. ლერი ხაბელოვი (საქართველო); 2. ტუჰი მაზმედრიზა (ირანი); 3. ზაზა ტყეშელაშვილი (საქართველო). 130კგ: 1. ზაზა თურმანიძე (საქართველო); 2. მერაბ ვალიევი (საქართველო); 3. ლევან ებანოიძე (საქართველო).

## მაგიდის ჩოგბურთი

საერთაშორისო ტურნირი „ტოპ-12". ჰააგა (ჰოლანდია). 2-3 თებერვალი. ვაჟები. ფინალი. ერიკ ლინდე (შვეცია) — იან-უვე კალდნერი (შვეცია) — 3:1 (21:12, 17:21, 26:28,21:17). 3. იორგენ პერსონი (შვეცია). ქალები. ფინალი. მირიამ ჰომანი (ჰოლანდია) — გაბრიელა ვიტე (უნგრეთი) — 3:0 (21:10, 21:18, 21:11). 3. ბეტინე ფრიზეკოპი (ჰოლანდია).

## ციგურებით რბენა

მსოფლიო ჩემპიონატი. ჰამარი (ნორვეგია). 2-3 თებერვალი. კლასიკური მრავალჭიდი. ქალები. 500მ: 1. უ.კიაობო (ჩინეთი) — 41,85; 2. სეიკო ჰაშიმოტო (იაპონია) — 41,96; 3. იუ ხუნ ბი (კსდრ) — 42,39. 3000მ: 1. გუნდა კლემანი (გერმანია) — 4.32,00; 2. ჰაიკე ვარნიკე (გერმანია) — 4.38,70; 3. ლია ვან სხი (ჰოლანდია) — 4.40,62. 1500მ: 1. კლემანი — 2.09,45; 2. ემისა ნემეტ-ხანიდი (ავსტრია) — 2.11,52; 3. ვარნიკე — 2.12,42. 5000მ: 1. კლემანი — 7.48,10; 2. ვარნიკე — 7.53,64; 3. სვეტლანა ბოიკო (სსრკ) — 7.54,29. მრავალჭიდი. 1. კლემანი — 177,268; 2. ვარნიკე — 182,324; 3. ვან სხი — 183,278.

## ფრისტაილი

მსოფლიო თასის ეტაპი. მონ-გაბრიელი (კანადა). 2-3 თებერვალი. მოგული. ქალები. 1. დონა უაინბრეხტი (აშშ); 2. ელიზავეტა კოჟევნიკოვა (სსრკ); 3. ტატიანა მიტერმაიერი (გერმანია). საერთო ჩათვლაში ლიდერობს უაინბრეხტი — 24 ქულა. ვაჟები. 1. ჟან-ლუკ ბრასარი (კანადა); 2. ერიკ ბერგი (საფრანგეთი); 3. ნელსონ კარმაიკლი (აშშ). ლიდერობს ედგარ გროსპირონი (საფრანგეთი) — 121.

## მძლეოსნობა

„გრან-პრის" სერიის საერთაშორისო შეჯიბრება. ფარუ (პორტუგალია). 3 თებერვალი. კროსი. ქალები. 6კმ. 1. კატრიონა მაკ-კირნანი (ირლანდია) — 20.04; 2. სიუზან სირმა (კენია) — 20.08; 3 ალბერტინა დიასი (პორტუგალია) — 20.15. ვაჟები. 10კმ. 1. რიჩარდ ჩელიმო (კენია) — 30.17; 2. იოაკიმ პინეირო (პორტუგალია) — 30.19; 3 ჟოაო კამპოსი (პორტუგალია) — 30.23.

## კრივი

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. ყაზანი. 24 იანვარი — 3 თებერვალი. 48 კგ: 1. ნ.მუნჩიანი (სომხეთი); 2. ბაბუბაკიროვი (ყაზახეთი); 3. ა.ნალბანდიანი (სომხეთი) და აბდრახმაევი (რსფსრ). 52 კგ: 1. ბ.ტემიროვი (ყაზახეთი); 2. დ.ენიკეევი (ლენინგრადი); 3. ე.კარიმოვი (უზბეკეთი) და მ.შაინოვი (ყაზახეთი); 3. ტ.სკრიაბინი (მოლდოვა) და მ.ანანინი (რსფსრ). 57 კგ: 1. კ.ბარაევი (საქართველო); 2. ფ.გატინი (რსფსრ); 3. ტ.ოგანესიანი (სომხეთი) და კ.კარგინი (რსფსრ). 60 კგ: 1. ა.ხამატოვი (რსფსრ); 2. ა.გრიგორიანი (უზბეკეთი); 3. მ.კაზარიანი (სომხეთი) და მ.ჯაბარკულოვი (ყაზახეთი). 63,5 კგ: 1. კ.ცზიუ (რსფსრ); 2. ო.ნიკოლაევი (რსფსრ); 3. ვ.კირილოვი (ლენინგრადი) და ა.გალეევი (რსფსრ). 67 კგ: 1. ვ.ერეშჩენკო (რსფსრ); 2. თ.მესხაძე (საქართველო); 3. ი.იარემკა (უკრაინა). 71 კგ: 1. ი.აკოპკოხიანი (სომხეთი); 2. ალებზიაკი (რსფსრ); 3. ა.გეგამიანი (სომხეთი) და ს.სამოილოვი (რსფსრ). 75 კგ: 1. ი.ბუნინი (უზბეკეთი); 2. კ.ხაბიბრახმანოვი (ყაზახეთი); 3. დ.ვიბორნოვი (რსფსრ) და ზ.ფალიანი (საქართველო). 81 კგ: 1. რ.ზაულიჩნი (უკრაინა); 2. ე.კეხიანი (რსფსრ); 3. ი.ილიუხინი (მოსკოვი) და ს.კულიკოვი (რსფსრ). 91 კგ: 1. ე.ხუდაკოვი (რსფსრ); 2. ი.შიშკინი (ყაზახეთი); 3. მ.გონჩარენკო (უკრაინა) და ვ.აშკინოვი (უკრაინა). 91 კგ ზევით: 1. ე.ბელოუსოვი (რსფსრ); 2. ო.მასკაევი (უზბეკეთი); 3. ნ.კულპინი (ყაზახეთი) და გ.ბისტრიცკი (რსფსრ)

## შორტ-ტრეკი

ევროპის თასი. ბუდაპეშტი. 2-3 თებერვალი. ქალები. ესტაფეტა 3000 მ. 1. იტალია — 4.41,09 (მსოფლიო რეკორდი); 2. სსრკ — 4.43,70 (სსრკ. რეკორდი); 3. ჰოლანდია. — 4.46,64. გუნდური პირველობა: 1. სსრკ — 82 ქულა. 2. იტალია — 77; 3. ჰოლანდია — 77. ვაჟები. ესტაფეტა 5000 მ. 1. ჰოლანდია — 7.40,31; 2. ბელგია — 7.48,11; 3. იტალია — 7.59,11. გუნდური პირველობა: 1. იტალია — 90; 2. ჰოლანდია — 81; 3. ბელგია — 80.



# წინასიტყვაობის მაგიერ

გამოგიტყდებით, რედაქციის წინადადებამ, რომ გაზეთის ფურცლებზე საკავშირო ჩემპიონატის ისტორია გამეშუქებინა, თავიდან ჩემში გაორებული გრძნობა გამოიწვია. ერთი მხრივ, ცხადია, მესიამოვნა ამგვარი ნდობა, მეორე მხრივ კი ვშიშობდი: შევძლებ იმ სიძნელეებისა და რიფების დაძლევას, რაც, ვიცი, უთუოდ შემხვდება? ეს მხოლოდ შორიდან მაცქერალ კაცს შეიძლება მოეჩვენოს, რომ სტატისტიკოსებისთვის, რომლებიც ზოგჯერ ციფრებით მარჯვედ მანიპულირებასაც არ ერიდებიან, არავითარი საიდუმლო არ არსებობს. იმედი უნდა გავუცრუო ჩვენს მკითხველს: საყოველთაოდ მიღებული შეხედულების წინააღმდეგ, სტატისტიკოსთვის, ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთის სტატისტიკოსთვის, ბევრი რამ ჯერ კიდევ უცნობია. საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში, როგორც დღეს ამბობენ ხოლმე, ძალზე ბევრი თეთრი ლაქაა. მკითხველს არ დავღლი წმინდა პროფესიულ სირთულეთა აღწერით. ვიტყვი მთავარს: ფეხბურთის ისტორიკოსისთვის, სტატისტიკოსისთვის, მთავარი წყარო მატჩების ოქმებია, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია გუნდების შემადგენლობის, გოლების, მსაჯების, ამინდის შესახებ და ა. შ. ბევრ ფეხბურთის მოყვარულს ალბათ გააოცებს ის ამბავი, რომ თერთმეტი (!) საკავშირო ჩემპიონატის (1936-1950 წწ.) ოქმები მთლიანად დაკარგულია. რაღაც სასწაულით გადარჩენილა მხოლოდ 1937 წლის ოქმები. ასე რომ, ხარვეზის შევსება ძირითადად პერიოდული გამოცემების დახმარებით გვიხდებოდა, ეს მუშაობა კი ალბათ მხოლოდ ოქროს მაძიებლების შრომას შეიძლება შევადაროთ — ერთი ფასეული ინფორმაციისთვის ზღვა მასალა უნდა შეისწავლო. ამასთან, გასათვალისწინებელია ჩვენი პრესის სპეციფიკაც, განსაკუთრებით იმ პერიოდის გამოცემებისა. თითქმის წარმოუდგენელია ინფორმაციის მოპოვება, თუ მატჩები რევოლუციური დღესასწაულების, პოლიტიკურ მოღვაწეთა გამოსვლების ან, კიდევ უარესი, პლენუმების, პარადების, კოლმეურნეთა, პროფკავშირთა, სტახანოველთა, კომუნისტური შრომის დამკვრელთა და სხვა ყრილობების დღეებში ტარდებოდა. მთელი ამ „ზეიმების" პერიოდში, რაც ხშირად რამდენიმე საფეხბურთო ტურის მანძილზეც შეიძლებოდა გაგრძელებულიყო, ბალტიის ზღვიდან წყნარი ოკეანის ნაპირებამდე გამომავალი გაზეთები მხოლოდ სახელწოდებით თუ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. მხოლოდ გამოუსწორებელი ოპტიმისტი თუ ეცდება იმ პერიოდის პრესაში რაიმე იპოვოს ფეხბურთის შესახებ. კიდევ კარგი, ყრილობები ყოველ წელიწადს არ ტარდებოდა, პოლიტიკოსებს ამდენი ლაპარაკი არ უყვარდათ და არც დღესასწაულებით ვანებივრებდნენ მაინცდამაინც. თუმცა არც სხვა, ჩვეულებრივ დღეებში იყო საქმე უკეთ. ჩემპიონატის გაშუქებისას გაზეთები ერთ პრინციპს იცავდნენ: თუ ადგილობრივმა გუნდმა წააგო, დაწვრილებით ცნობებს მოუშვი და მხოლოდ შედეგის აღნიშვნას დასჯერდი. არ არის საჭირო ცეცხლზე ნავთის დასხმა. მაგრამ, თუ შენმა გუნდმა მოიგო... რომ იცოდეთ, რა სიამოვნებით ვკითხულობდი მსგავს რეპორტაჟებს! აქ იყო ყველაფერი — გუნდების შემადგენლობაც, მძაფრი მომენტებისა თუ გოლებისწინ (ლაპარაკია, რაღა თქმა უნდა, ადგილობრივი გუნდების გოლებზე) კომბინაციების აღწერაც. თუმცა, ერთგვარი ზომიერების დაცვა აქაც აუცილებელი იყო. მოგეხსენებათ, ჩვენი ერთ-ერთი იდეოლოგიური პოსტულატი ისაა, რომ ისტორიის შემოქმედი ხალხია. მაგრამ ეს — გლობალური თვალსაზრისით. როცა ფეხბურთელთა ასპარეზობას შეეხება საქმე, მაშინ ვინ არის გამარჯვების შემოქმედი? დიახ, დიახ, მიმიხვდით, ჩემო მკითხველო: გამარჯვების შემოქმედია კოლექტივი, ესე იგი გუნდი, და არავითარ შემთხვევაში ცალკე პიროვნება, ერთი რომელიმე ფეხბურთელი. იმდროინდელი მასალების ავტორები, ფეხბურთში არ ვიცი და, მარქსიზმის საფუძვლებში კი შესანიშნავად ერკვეოდნენ. თუ რომელიმე მეტიჩარა ერთ მატჩში ორ ან სამ გოლსაც კი გაიტანდა, ამ ამბის რეკლამირება რეკომენდირებული არ იყო, რათა პიროვნება კოლექტივისთვის არ დაეპირისპირებინათ. მაგრამ, თუ ასეთი ინფორმაცია უყურადღებობის გამო მაინც „გაიპარებოდა" პრესაში, „დამნაშავე" იქვე დაიწყებდა თავის მართლებას დაახლოებით ამგვარი სიტყვებით: „რას ამბობთ, ამხანაგებო, მე აქ რა შუაში ვარ? ჩემი მეგობრები რომ არ ყოფილიყვნენ, განა შევძლებდი გოლის გატანას? ეს მთელი ჩვენი კოლექტივის დამსახურებაა." ვაზვიადებ? არც ისე, მერწმუნეთ. ხოლო სრული ობიექტურობისთვის დავძენ, რომ მაინც იყო სფერო, სადაც პიროვნების პრეროგატივას არ უგულებელყოფდნენ — შთამომავლობის გაგრძელება. ეტყობა, ყველაზე პროგრესული მოძღვრების ფუძემდებლებს ამ საკითხთან დაკავშირებით არავითარი ინსტრუქციები არ დაუტოვებიათ.

თუმცა, დავუბრუნდეთ ფეხბურთს. შემთხვევითი არ არის, რომ დიდი ანგარიშით დამთავრებული მატჩების მიმოხილვებში გოლის გამტან ყველა ფეხბურთელს არც ასახელებდნენ. რატომღაც ისე ხდებოდა, რომ სწორედ ასეთ შეხვედრებში ერთ რომელიმე მოთამაშეს რამდენიმე ბურთი გაჰქონდა (ეტყობა, მომავალ სტატისტიკოსთა პრობლემებზე სულ არ ფიქრობდნენ). ის, რომ ლენინგრადელმა ე.შელაგინმა 1938 წლის ჩემპიონატის ერთ მატჩში ხუთი გოლი გაიტანა, თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ შევიტყვეთ. საქმეს ძალზე ართულებს ისიც, რომ სხვადასხვა გაზეთი ერთი და იმავე მატჩის ანგარიშებში ხშირად გოლს სულ სხვადასხვა ფეხბურთელს მიაწერდა. აქ მინდა ცოტა გავამხიარულო მკითხველი (თუმცა მე სულ არა ვარ სიცილის გუნებაზე). ამ რამდენიმე წლის წინ შესანიშნავ ფეხბურთელსა და პიროვნებას, აწ განსვენებულ გიორგი ანთაძეს ვეწვიე, რომ ერთ-ერთი ასეთი სადაო ბურთის ამბავი გამერკვია. ბატონმა გიორგიმ მატჩი ვერ გაიხსენა, მაგრამ ერთი საინტერესო ისტორია კი მიამბო: თურმე ერთხელ მატჩის დამთავრებისთანავე გასახდელში ჟურნალისტი „შეიჭრა" და ინფორმაციის „პირველწყაროდან" მიღების იმედით იკითხა: „ბიჭებო, გოლი ვინ გაიტანა?" ერთმა ფეხბურთელმა აშკარად დაასწრო ნამდვილ „დამნაშავეს" და საერთო ხარხარში ხმამაღლა უპასუხა, მე გავიტანეო. გაზეთში სწორედ ამ ფეხბურთელის გვარი მოხვდა. და აი, ბევრი ჟურნალისტი დღესაც ამ ინფორმაციით სარგებლობს. ვინ იცის, რამდენი იყო ასეთი შემთხვევა.

ზოგჯერ გშურს დასავლელი ჟურნალისტებისა, ლამაზად გამოცემულ საფეხბურთო ალმანახებს რომ ათვალიერებ. რა მდიდარი ინფორმაციაა მათ განკარგულებაში, რამდენი დრო ეზოგებათ. არც ბიბლიოთეკებში კვირაობით ჯდომა უხდებათ რაღაც წვრილმანის მისაგნებად, არც ძველი პროგრამების კოლექციონერებს დასდევენ, იქნებ არბიტრის გვარი გავიგოთო, არც... მაგრამ, მეორე მხრივ, მათთვის ხომ უცხოა ის სიხარული, რომელიც მე განვიცადე სულ ახლახან, სტალინგრადის 1939 წლის ერთ მრავალტირაჟიან გაზეთში ჩემთვის საინტერესო ფეხბურთელის გვარს რომ მივაგენი (მადლობა ღმერთს, შარშანდელი წლიდან მრავალტირაჟიანი გაზეთები ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა. აი, გარდაქმნის ერთი ჭეშმარიტად გრანდიოზული მონაპოვარი!). არა, ჩვენი უცხოელი კოლეგები მოკლებული არიან ამ სიხარულს. ისევე როგორც მოკლებული არიან, ვთქვათ, ვენის მცხოვრებლები ათი კვერცხის ან ერთი კილო ყველის შოვნით მოგვრილი სიხარულის განცდას. არა, რაც გინდათ თქვით და, იმ თქვენს ქებულ დასავლეთში ნამდვილად მოსაწყენი ცხოვრებაა. ასე რომ, ვის ვისი უნდა შერდეს, ჯერ კიდევ საკითხავია.

ამ სირთულეებზე იმისთვის როდი ვწერ, რომ მკითხველს თავი შევაცოდო. საქმე ისაა, რომ საფეხბურთო ჩემპიონატების ისტორიაზე თხრობისას მე დამჭირდება უამრავი ციფრის მოყვანა, რომლებიც შეიძლება ზოგჯერ არ დაემთხვეს სხვადასხვა ცნობარში შეტანილ მონაცემებს. მე, მაგალითად, შემიძლია დავასახელო სულ მცირე ოთხიხუთი საფეხბურთო გამოცემა, რომლებიც ოცდაათიანი წლების შეჯიბრებათა შესახებ განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდიან. ეს ეხება უმთავრესად მატჩებისა და ცალკეულ მოთამაშეთა მიერ გატანილი ბურთების რაოდენობას. დავძენ, რომ აქ გასაკვირი არაფერია, რადგან ამ ცნობარების შემდგენლებიც მსგავს სირთულეებს აწყდებოდნენ. სამწუხაროდ, გვხვდება სხვაგვარი შეცდომებიც. ზოგიერთი სტატისტიკოსი სარგებლობს იმით, რომ ყველა ფაქტის შემოწმება შეუძლებელია და პირადი სიმპათიის მიხედვით გოლს იმას მიაწერს, ვისაც სინამდვილეში ბურთი არ გაუტანია (მოქმედებს პრინციპი: „აბა დამიმტკიცე!"). მათ ავიწყდებათ, რომ ყოველი სიტყვისთვის, ყოველი ინფორმაციისათვის პასუხისმგებლობა უწინარესად ავტორს ეკისრება. ვერ დავმალავ, ზოგიერთი ფეხბურთელი ან რომელიმე გუნდი მეც შეიძლება სხვაზე მეტად მიყვარდეს, მაგრამ, როგორც ერთ ბრძენს უთქვამს, „ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია". ვეცდები ვიყო ობიექტური და პირუთვნელი სტატისტიკოსი. მზად ვარ ვუპასუხო ფეხბურთის მოყვარულთა ყველა შეკითხვას, თუ კი ასეთი კითხვები გაჩნდება ჩვენი პუბლიკაციების პერიოდში.

რედაქციისაგან: საქართველოში ფეხბურთი გამორჩეული პოპულარობით სარგებლობს. ბუნებრივია ის ვნებათაღელვა, რაც გასულ წელს ეროვნულ ფეხბურთში მომხდარ რეფორმებს მოჰყვა. ცხოვრება თავისას ითხოვს და ადრე თუ გვიან მოსახდენი უკვე მოხდა: ქართული ფეხბურთი განვითარების დამოუკიდებელ გზას დაადგა და ისტორიულად ახალი ეტაპი დაიწყო. ჩვენი ფეხბურთის სასიკეთო მომავლის საფუძველი კი მისი სახელოვანი წარსული და მდიდარი ტრადიციებიც არის. ჩვენი ახალი რუბრიკა, რომელსაც აქსელ თბილელი უძღვება, სწორედ ეროვნული ფეხბურთის „ბიოგრაფიის" ყველაზე ვრცელ, სსრკ ჩემპიონატებში გამოსვლის პერიოდს მოიცავს.

## ესპანეთი

21-ე ტურის ცენტრალურ შეხვედრაში მადრიდის „რეალმა" გაანადგურა „სევილია" — 7:0. ასეთ ანგარიშს, უკანასკნელ მატჩებში მადრიდელთა უფერული თამაშის გათვალისწინებით, არავინ მოელოდა, მით უმეტეს, რომ „სევილია" მეოთხე ადგილზე იყო და ორი ქულით უსწრებდა „რეალს". პირველ ტაიმში „რეალმა" ორი გოლი გაიტანა (ტენდილიო და ბუტრაგენიო). დანარჩენი ბურთები გაიტანეს მიჩელმა (2), იეროშ, გორდილიომ და არაგონმა (პენალტით). საუცხოოდ ითამაშა მადრიდელთა ნახევარმცველმა, 33 წლის რაფაელ გორდილიომ, რომელიც ტრავმით გამოწვეული ოთხთვიანი შესვენების შემდეგ პირველად გამოჩნდა მოედანზე.

ფრედ (2:2) დამთავრდა მატჩი „ვალენსიასა" და „ბარსელონას" შორის, ბურთები გაიტანეს: მასპინძელთაგან — რობერტომ და პენევმა (პენალტი), ხოლო სტუმართაგან — ლაუდრუპმა და პინილიამ. ძლიერმა ქარმა და კოკისპირულმა წვიმამ ძალზე შეზღუდა მოასპარეზე გუნდების შესაძლებლობანი.

მეორე ადგილზე მყოფმა მადრიდის „ატლეტიკომ" ვერ შეძლო სევილიაში ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერის, ადგილობრივი „ბეტისის" დამარცხება — 0:0. მატჩის შემდეგ მადრიდელთა თავდამსხმელმა პორტუგალიელმა პაულუ ფუტრემ თქვა, რომ იგი კმაყოფილია შედეგით: „ჩვენ ცხრანი ვეთამაშებოდით მეტოქის თერთმეტ ფეხბურთელს, თანაც, ბრძოლა მსაჯთანაც გვიწევდა" — თქვა ფუტრემ. მართლაც, შეხვედრის არბიტრმა ორი მადრიდელი ფეხბურთელი გააძევა მოედნიდან — ტომასი და ფუტრე. ასევე კმაყოფილი დარჩა „ატლეტიკოს" მეკარე აბელი, რომელიც ესპანეთის ფეხბურთის ისტორიაში შევიდა. მას უკვე 870 წუთის განმავლობაში არ გაუშვია ბურთი, რაც 21 წუთით მეტია წინა რეკორდზე. უკანასკნელად აბელის კარი აიღეს 25 ნოემბერს, „მალიორკასთან" მატჩში.

„ესპანიოლმა" დაამარცხა „კასტელიონი" — 1:0. ამ შეხვედრაში მსაჯმა წითელი ბარათი უჩვენა საბჭოთა ფეხბურთელს დობროვოლსკის, რომელიც უხეშად ეთამაშება უბურთო მოწინააღმდეგეს.

სხვა მატჩები: „ბურგოსი" — „ატლეტიკო" 2:1, „ტენერიფე" — „ოსასუნა" 2:1, „ვალიადოლიდი" — „სპორტინგი" 0:0, „ოვიედო" — „მალიორკა" 1:0, „ლოგრონიესი" — „სარაგოსა" — 1:1, „რეალი" (სან სებასტიანი) — „კადისი" — 0:0.

ბომბარდირთა სიას სათავეში ჩაუდგა პოლონელი ურბანი („ოსასუნა") — 12 გოლი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბარსელონა" | 21 | 16 | 4 | 2 | 42-17 | 34 |
| „ატლეტიკო" | 21 | 11 | 8 | 2 | 31-10 | 30 |
| „ოსასუნა" | 21 | 10 | 7 | 4 | 28-17 | 27 |
| „რეალი" (მადრიდი) | 21 | 11 | 3 | 7 | 34-20 | 26 |
| „სევილია" | 21 | 11 | 3 | 7 | 25-21 | 26 |

## ინგლისი

24-ე ტურში ამ ჩემპიონატში პირველად დამარცხდა „არსენალი", რომელმაც ვერაფერი დაუპირისპირა „ჩელსის" შეტევებს. „ჩელსის" ორ გოლს (სტიუარტი, დიქსონი) „არსენალმა" მხოლოდ სმითის ბურთით უპასუხა — 2:1. „ლივერპულმა" ფრედ (1:1) ითამაშა მანჩესტერში ადგილობრივ „იუნაიტედთან". ანგარიში პენალტით გახსნა „მანჩესტერის" ფეხბურთელმა, ბრუსმა, მას შემდეგ, რაც „ლივერპულის" შვედმა მცველმა ჰიზენმა საკუთარ საჯარიმო მოედანში ხელით მოიგერია ბურთი. პირველი ტაიმის მიწურულს დევიდ სპიდიმ, რომელიც „კოვენტრიდან" გადასვლის შემდეგ პირველ მატჩს ატარებდა „ლივერპულის" შემად-გენლობაში, აღადგინა წონასწორობა — 1:1.

„არსენალსა" და „ლივერპულს" 3 ქულით ჩამორჩა „კრისტალ პალასი", რომელმაც სტუმრად დაამარცხა „ნოტინგემ ფორესტი" — 1:0. ბურთი იანგმა გაიტანა.

სხვა ანგარიშები: „ასტონ ვილა" — „დერბი ქაუნთი" 3:2, „ევერტონი" — „სანდერლენდი" 2:0, „ლუტონი" — „ქუინზ პარკი" 1:2, „ნორიჩი" — „მანჩესტერ სიტი" 1:2, „შეფილდ იუნაიტედი" — „საუთჰემპტონი" 4:1, „ტოტენჰემი" — „ლიდსი" 0:0, „უიმბლდონი" — „კოვენტრი" 1:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არსენალი" | 24 | 15 | 8 | 1 | 43-12 | 51 |
| „ლივერპული" | 23 | 15 | 6 | 2 | 43-18 | 51 |
| „კრისტალ პალასი" | 24 | 14 | 6 | 4 | 34-23 | 48 |
| „ლიდს იუნაიტედი" | 24 | 12 | 7 | 5 | 38-24 | 43 |
| „მანჩესტერ იუნ." | 24 | 11 | 8 | 5 | 37-25 | 40 |

## ჰოლანდია

„აიაქსის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ დადებულია ახალი ხელშეკრულება გუნდის მწვრთნელთან ლეო ბეენჰაკერთან. ბეენჰაკერი ამსტერდამის გუნდში 1993 წლის ივლისამდე დარჩება.

ჩემპიონატში კი „აიაქსმა" სეზონის პირველი მარცხი განიცადა. მეორე წრის პირველ ტურში „აიაქსი" ტილბურგში ადგილობრივ „ვილემ II"-ს შეხვდა. მასპინძლებმა პირველ ტაიმში ორი გოლი გაიტანეს (ვან ხეელი და სტუარტი). შემდეგ „აიაქსმა" შეამცირა ანგარიშში სხვაობა (ბერხკამპი), მაგრამ ისევ სტუარტმა ყოველგვარი იმედი გადაუწურა ამსტერდამელებს. შეხვედრის მიწურულს პეტერსონმა შეძლო ერთი ბურთის გატანა — 3:2. მეორე ადგილზე გადაინაცვლა „გრონინგენმა", რომელმაც მეიერისა და ჰოიზინგის გოლების წყალობით დაამარცხა რკს — 2:1.

ლიდერმა, „ეინდჰოვენმა" ფრედ (1:1) დაამთავრა შეხვედრა სტუმრად „უტრეხტთან". „ეინდჰოვენის" ბრაზილიელი თავდამსხმელი რომარიო კლუბის ხელმძღვანელობამ 10 ათასი გულდენით დააჯარიმა. რომარიო არ გაჰყვა გუნდს ინდოეთში, სადაც „ეინდჰოვენმა" ამხანაგური მატჩები ჩაატარა.

მე-18 ტურის დანარჩენი 6 შეხვედრა გადაიდო უამინდობის გამო.

„აიაქსის" ფეხბურთელები ბერხკამპი და პეტერსონი 12-12 გატანილი ბურთით ლიდერობენ ბომბარდირთა სიას.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ეინდჰოვენი" | 18 | 13 | 5 | 1 | 46-12 | 29 |
| „გრონინგენი" | 18 | 9 | 8 | 1 | 36-18 | 26 |
| „აიაქსი" | 16 | 10 | 5 | 1 | 42-12 | 25 |
| „უტრეხტი" | 17 | 8 | 3 | 5 | 20-21 | 19 |
| „როდა" | 16 | 8 | 2 | 6 | 22-22 | 18 |

ოთხშაბათს გაიმართა რამდენიმე საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. ლონდონში ინგლისის ნაკრებს არ გაუჭირდება კამერუნის ნაკრების დამარცხება — 2:0. კამერუნელთა უფერული თამაში შესაძლოა მათთვის უჩვეული ამინდით აიხსნას — ძლიერი ყინვის გამო აფრიკელი ფეხბურთელები სათამაშოდ ხელთათმანებით გამოვიდნენ. ამას გარდა, როჯე მილა არ ჩაფრენილა ლონდონში, რადგან მატჩის ორგანიზატორებმა უარი უთხრეს იმ თანხის გადახდაზე, რასაც ის ითხოვდა.

ორივე გოლი გარი ლინეკერმა გაიტანა — მატჩის მე-20 (თერთმეტმეტრიანი დარტყმით) და 61-ე წუთებზე. ინგლისელთა შემადგენლობაში პირველად გამოჩნდა „კრისტალ პალასის" თავდამსხმელი იენ რაითი.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა:

რეიკიავიკი. უელსი — ირლანდია 0:3. გოლები: ქუინი — 2, ბერნი.

გლაზგო. შოტლანდია — სსრკ 0:1. გოლი: კუზნეცოვი.

სიდნეი. ავსტრალია — ჩეხოსლოვაკია 0:2. გოლები: კულა, გრუსმანი.

## იტალია

„ატალანტა" — „იუვენტუსი" 0:0
„ბოლონია" — „ინტერი" 0:0
„კალიარი" — „ნაპოლი"-1:1
„ლეჩე" — „პიზა" 1:1
„მილანი" — „ჩეზენა" 2:0
„პარმა" — „ლაციო" 0:0
„რომა" — „ჯენოა" 3:1
„სამპდორია" — „ფიორენტინა" 1:0
„ტორინო" — „ბარი" 4:0

| | | | |
|---|---|---|---|
| „ინტერი" | 19 | 36-21 | 26 |
| „სამპდორია" | 19 | 27-14 | 26 |
| „მილანი" | 19 | 21-10 | 26 |
| „იუვენტუსი" | 19 | 31-15 | 25 |
| „პარმა" | 19 | 20-17 | 23 |

## ბელგია

„მოლენბეეკი" — „ვარეგემი" 0:0
„მეხელენი" — „ბეერსხოტი" 1:0
„ლოკერენი" — „სტანდარდი" 2:2
„სერკლ ბრიუგე" — „შარლერუა" 1:0
„ანტვერპი" — „ბრიუგე" 0:0
„სენტ-ტროიდენი" — „ლიერსი" 2:0
„ლიეჟი" — „ჟერმინალი" 1:0
„გენტი" — „ანდერლეხტი" 1:1
„კორტრაიკი" — „რესინგი" 5:0

| | | | |
|---|---|---|---|
| „გენტი" | 22 | 60-21 | 36 |
| „ანდერლეხტი" | 22 | 54-15 | 35 |
| „ბრიუგე" | 22 | 40-16 | 32 |
| „მეხელენი" | 22 | 37-19 | 31 |
| „სტანდარდი" | 22 | 34-22 | 30 |

## პორტუგალია

„ფარენსე" — „ჟილ ვისენტე" 2:0
„ბეირა მარი" — „გიმარაეში" 1:0
„მარიტიმო" — „პენაფიელი" 1:0
„ბენფიკა" — „სალგეიროში" 4:0
„სპორტინგი" — „ბოავიშტა" 2:1
„პორტუ" — „ბელენენსეში" 0:0
„შავეში" — „უნიაუ" 2:1
„ბრაგა" — „ნასიონალი" 6:2
„ფამალიკაუ" — „სეტუბალი" 0:0

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" | 23 | 50-13 | 40 |
| „პორტუ" | 23 | 43-12 | 40 |
| „სპორტინგი" | 23 | 40-15 | 35 |
| „ბოავიშტა" | 23 | 33-24 | 28 |
| „ბეირა მარი" | 23 | 26-24 | 24 |

## შოტლანდია

„აბერდინი" — „ჰარტსი" 5:0
„სელტიკი" — „დანდი იუნ." 1:0
„ჰიბერნიანსი" — „მაზერველი" 1:1

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეინჯერსი" | 23 | 48-14 | 37 |
| „აბერდინი" | 24 | 41-30 | 32 |
| „დანდი იუნ." | 23 | 32-19 | 29 |
| „სენტ-ჯონსტონი" | 22 | 31-28 | 26 |
| „სელტიკი" | 24 | 29-30 | 23 |

## საბერძნეთი

აეკ — „დოქსა" 3:0
„ათინაიკოსი" — „პანახაიკი" 2:0
„აპოლონი" — „ლევადიაკოსი" 3:0
„არისი" — „ოლიმპიაკოსი" 1:1
„იანინა" — „პანათინაიკოსი" 1:2
პაოკ — „პანსერაიკოსი" 1:0
„ქსანთი" — „ირაკლისი" 0:0
ოფი — „პანიონიოსი" 1:0
„იონიკოსი" — „ლარისა" 3:0

| | | | |
|---|---|---|---|
| „პანათინაიკოსი" | 17 | 75-11 | 28 |
| „ოლიმპიაკოსი" | 16 | 44-12 | 25 |
| აეკ | 16 | 27-9 | 21 |
| „ათინაიკოსი" | 17 | 23-12 | 21 |
| პაოკ | 17 | 27-19 | 20 |

## საფრანგეთი

„ოსერი" — „ნანსი" 1:1
„ბორდო" — „მარსელი" [illegible]
„მონპელიე" — „ბრესტი" [illegible]
„კაენი" — „სენტ-ეტიენი" 1:0
„მეცი" — „კანი" 0:0
„ლილი" — „მონაკო" 0:0
„ლიონი" — „პარი სენ-ჟერმენი" 0:0
„ნანტი" — „ტულუზა" 0:0
„ნიცა" — „რენი" 2:2
„ტულონი" — „სოშო" 1:0

| | | | |
|---|---|---|---|
| „მარსელი" | 25 | 50-20 | 35 |
| „მონაკო" | 25 | 29-21 | 31 |
| „ოსერი" | 25 | 36-24 | 30 |
| „მონპელიე" | 25 | 38-25 | 28 |
| „ლიონი" | 25 | 27-30 | 28 |

## დაკარგული დოლარები

მოსკოვის „სპარტაკი" ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩს მადრიდის „რეალთან", სურვილის საწინააღმდეგოდ... საკუთარ მოედანზე ჩაატარებს. „სპარტაკს" სურდა შეხვედრის მასპინძლობის უფლება პარიზის ან ბრემენისთვის დაეთმო (მიეყიდა), რისთვისაც იგი დიდძალი თანხის მიღებასვარაუდობდა (არაოფიციალური წყაროების მიხედვით სავარაუდო თანხა 900000 დოლარს შეადგენდა). მაგრამ მოსკოველთა განზრახვა განზრახვად დარჩა — უეფამ ვეტო დაადო მას, და მატჩი 6 მარტს საბჭოთა კავშირში გაიმართება. „სპარტაკი" თამაშის გადატანის საბაბად ადრეულ გაზაფხულზე მოსალოდნელ უამინდობას ასახელებდა.

ყურადღება, ბლიც-კონკურსი!

კავკასიის ბირჟა

პირველი სიტყვა დიზაინერებს

ცხადდება ბლიც-კონკურსი საქართველოში პირველი სასაქონლო-სანედლეულო და საფონდო ბირჟის ემბლემის შექმნაზე.

გამარჯვებულს — 3000 მანეთი

ემბლემის შემქმნელს საშუალება ექლევა გახდეს ბირჟის თანადამფუძნებელი და პრივილეგირებული აქციის მფლობელი.

ესკიზები წარადგინეთ სარეკლამო სააგენტო „მი-მი-ნო"-ში

მისამართი — ლესელიძის 20




# თუ კაცი მოინდომებს მიუწვდომელი არაფერია!

ჩვენი ინდექსია 66441

1 თვე — 1 მან. 73 კაპ. 3 თვე — 5 მან. 19 კაპ.
6 თვე — 10 მან. 32 კაპ. 12 თვე — 20 მან. 76 კაპ.


# საჭადრაკო ციებ-ცხელება

გამოირკვა იმ ხუთი მოჭადრაკის ვინაობა, რომლებიც განაგრძობენ ბაექრობას მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ციკლის მეოთხედფინალში. ანატოლი კარპოვს, როგორც „ჭადრაკის გვირგვინისათვის" მატჩის მონაწილეს, რეგლამენტით ავტომატურად დაეშვება მეოთხედფინალში, შეუერთდნენ ვასილი ივანჩუკი (სსრკ), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), იან ტიმანი (ჰოლანდია) და ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია).

ივანჩუკმა რიგაში მძაფრ ბრძოლაში მოუგო მეორე საბჭოთა მოჭადრაკეს ლეონიდ იუდასინს — 4,5:3,5. მადრასში ანანდმა საკმაოდ იოლად გაიმარჯვა ალექსეი დრეევთან (სსრკ) შეხვედრაში — 4,5:1,5. იგი პირველი მოჭადრაკეა აზიის კონტინენტიდან, რომელიც მონაწილეობას განაგრძობს ამ ეტაპზე. ტიმანმა სარაევოში მოუგო რობერტ ჰიუბნერს (გერმანია) — 4,5:2,5.

ჰოლანდიის საკურორტო ქალაქ ვეიკ-ან-ზეეში, სადაც კორჩნოი ხვდებოდა უნგრელ დიულა საქსს, ძირითადმა რვა პარტიამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 4:4. დამატებით ორ პარტიაში კორჩნოიმ მიაღწია სასურველ უპირატესობას — 1,5:0,5. სამაგიეროდ ვერ დაასახელა გამარჯვებული ორმა დამატებითმა პარტიამ სერგეი დოლმატოვის და არტურ იუსუპოვის (ორივე — სსრკ) შეხვედრაში, რომელიც ამავე ქალაქში მიმ-დინარეობს. — 1:1 (4:4) მოჭადრაკეები აგრძელებენ მატჩს. აგრეთვე დამატებით პარტიების ჩატარება მოუწევთ სარაევოში ბორის გელფანდს (სსრკ) და იუგოსლაველ პრედრაგ ნიკოლიჩს — 4:4.

ჭერჭერობით თანაბარი ანგარიშია ლონდონშიც, სადაც ორი ინგლისელი გროსმაისტერი ხვდება ერთმანეთს ნაიჯელ შორტი და ჯონათან სპილმენი — 3,5:3,5.

## პირველი ჩოგნის წყალობით...

გერმანიის ჩოგბურთის მოყვარულებმა შვებით ამოისუნთქეს. მათი ქვეყნის გუნდი უდიდესი გაჭირვებით გავიდა „დევისის თასის" გათამაშების მეორე წრეში. მერვედფინალში მასპინძლებმა, „ბლადეჯამოშვებმა" (?) მსოფლიოს პირველი ჩოგნის მეთაურობით, პირდაპირ კბილებით „გამოგლიჯეს" გამარჯვება იტალიის გუნდს — 3:2.

დანარჩენ შეხვედრებში გამარჯვებული გუნდის უპირატესობა უფრო საგრძნობი იყო. ერთნაირი ანგარიშით (4:1) არგენტინელებმა მოუგეს ახალი ზელანდიის ნაკრებს, იუგოსლაველებმა — შვეციას, ჩეხოსლოვაკეთის გუნდმა — ავსტრიას, ესპანელებმა — კანადას. ავსტრალიის გუნდმა „მშრალი" ანგარიშით დაამარცხა ბელგიის ჩოგბურთელები — 5:0.

ორი შეხვედრა: საფრანგეთი — ისრაელი და მექსიკა — აშშ სპარსეთის ყურეში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით გადატანილია მარტის ბოლოსათვის.

მრიგად მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან გერმანია — არგენტინა, იუგოსლავია — ჩეხოსლოვაკეთი, ესპანეთი — მექსიკა - აშშ მატჩში გამარჯვებული, ავსტრალია — საფრანგეთი - ისრაელის მატჩში გამარჯვებული.

## აქეთური, იქითური...

გერმანიის გაზეთების ცნობით, [illegible] მათეუსი „ინტერის" დატოვებას აპირებს. როგორც ჩანს, მათეუსის [illegible] გუნდის მწვრთნელთან [illegible] მომხდარი განხეთქილების შედეგია. მომავალი სეზონიდან მათეუსს სურს ითამაშოს ესპანეთის რომელიმე გუნდში — მადრიდის „რეალში" ან „ბარსელონაში".

■ ■ ■

სამშაბათს ღამით ავტოკატასტროფაში მოჰყვა „ტორინოს" ფეხბურთელი, ესპანელი რაფაელ მარტინ ვასკესი, რომელიც მილანიდან ტურინში საკუთარი მანქანით მიდიოდა. მარტინ ვასკესი საავადმყოფოში მოათავსეს. ექიმების აზრით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

■ ■ ■

ესპანეთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა სამი თამაშით დისკვალიფიკაცია მისცა პორტუგალიელ პაულო ფუტრეს, რომელმაც გასულ კვირას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს ვალდეს სანჩესს. ფუტრეს არყოფნა საკმაოდ დიდი დანაკლისი იქნება მადრიდის „ატლეტიკოსათვის", როცა იგი თასის მეოთხედფინალში მადრიდის „რეალს" შეხვდება.

■ ■ ■

ცნობილი ბელგიელი მეკარე ჟან-მარი პფაფი „ბავერინის" მწვრთნელად მუშაობს. 1972 წელს მან სწორედ ამ კლუბში დაიწყო პროფესიული კარიერა, შემდეგ კი მიუნხენის „ბაიერნსა" და „ტრაბზონსპორში" გამოდიოდა.

■ ■ ■

დიეგო მარადონას უმცროსი ძმა ლალო ვენესუელის „დეპორტივო იტალიის" ღირსებას იცავს. ლალო ამ კლუბში ესპანეთის მეორე ლიგის გუნდ „გრანადადან" გადავიდა.

■ ■ ■

ესპანეთის ნაკრების წამყვანი ნახევარმცველი მიჩელი დაჯილდოვდა სპეციალური ოქროს მედლით, რომელიც გადაეცემა ფეხბურთელებს, ვინც ეროვნულ ნაკრებში 50 მატჩს ჩაატარებს. მიჩელს ეს ჯილდო ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ანხელ ვილიარმა გადასცა.

■ ■ ■

არგენტინის ნაკრების მეკარე ნერი პუმპიდო, რომელმაც ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის დროს ფეხი მოიტეხა, დაუბრუნდა თავის კლუბ „ბეტისს".

■ ■ ■

დღეისთვის მსოფლიო ჩემპიონმა გერმანიის ნაკრებმა 571 შეხვედრა ჩაატარა. აქედან 323 მატჩი მოიგო, 108 ფრედ დაამთავრა და 140 წააგო. ბოლო 15 შეხვედრაში გერმანელთა გუნდი არ დამარცხებულა.

■ ■ ■

ბუნდესლიგის გუნდების მწვრთნელთა გამოკითხვის შედეგად საუკეთესო მეკარედ ბოდო ილგნერი დაასახელეს. მან ზედიზედ მეორედ დაიმსახურა ასეთი აღიარება. მეორე ადგილზეა რაიმონდ აუმანი, მესამეზე — ული შტაინი.

■ ■ ■

ისრაელის პირველი ოფიციალური ჩემპიონის ტიტული ჰოკეიში ხაიფას გუნდმა მოიპოვა. ფინალში ხაიფელებმა იერუსალიმის გუნდს აჯობეს — 3:1 და 8:3. ხუთ ჩემპიონატში ოთხი კლუბი მონაწილეობდა.

აქეთური, იქითური...

აშშ-ის პროფესიული კალათბურთი ყოველთვის იწვევდა სპორტის გულშემატკივართა განსაკუთრებულ ინტერესს. ასეა დღესაც. ვითვალისწინებთ რა მკითხველთა ცნობისწადილს, დროგამოშვებით დავბეჭდავთ წერილებს კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა-ს) სახელოვან გუნდებსა და კალათბურთელებზე.

# ლოს-ანჯელეს ლეიკერსი

„ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" ნბა-ს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ტიტულოვანი გუნდია. მისი ისტორია კალათბურთის ეროვნული ასოციაციის დაარსების პირველსავე დღეებს უკავშირდება. 1948-60 წლებში ეს გუნდი „მონეაპოლის ლეიკერსის" სახელით გამოდიოდა და თვალსაჩინო წარმატებებს აღწევდა: 1949, 1950, 1952 და 1954 წლებში იგი ნბა-ს ჩემპიონი იყო. „ლეიკერსის" ამ გამარჯვებებს ლეგენდარული ჯორჯ მაიკენის (205 სმ) სახელს უკავშირებენ. ბილ რასელისა და უოლტ ჩემბერლენის გამოჩენამდე მაიკენი ამერიკული კალათბურთის ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო. შემთხვევითი არ არის, რომ სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ 1950 წელს სწორედ მას მიანიჭა „საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი მოთამაშის" ტიტული.

უნდა ითქვას, რომ „ლეიკერსმა" დიდხანს ვერ შეინარჩუნა ლიდერობა. 1954 წლიდან მოძლიერდნენ და დაწინაურდნენ სხვა გუნდები, უწინარესად „ბოსტონ სელტიქსი" და „ნიუ-იორკ ნიკერბოკერსი". ასე გაგრძელდა მთელ 15 წელიწადს. „ლოს-ანჯელესის ლეიკერსის" ხელახალი აღზევება 70-იანი წლებიდან დაიწყო და ეს გუნდი დღემდე უძლიერესთა რიგებშია. 1972 წელს „ლეიკერსი" კვლავ ჩემპიონი გახდა. საერთოდ, ლოსანჯელესელებმა ნბა-ს ფინალში თხუთმეტჯერ ითამაშეს და ექვსჯერ გაიმარჯვეს. 1981 წლიდან „ლეიკერსს" სათავეში ჩაუდგა პატ რაილი, რომელმაც მოკლე ხანში საუკეთესო გუნდი ჩამოაყალიბა. „ვარსკვლავთა" ნაკრებად მონათლულ „ლეიკერსში" გამორჩეული ადგილი ეკავა ყველა დროის ერთ-ერთ უძლიერეს კალათბურთელს ერიმ აბდულ ჯაბარს, რომლის სახელი ლეგენდად დარჩება სპორტის ამ სახეობის ისტორიაში. ჯაბარის მხარდამხარ თამაშობდნენ „მეჯიკ" ჯონსონი, ჯეიმს უორტი, კუპერი... მოგვიანებით პატ რაილიმ ევროპიდან მიიწვია იუგოსლავიის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი ვლადე დივაცი (212 სმ), რომელსაც სპეციალისტთა აზრით, ნაწილობრივ მაინც უნდა შეეცვალა ჯაბარი. დივაცს, როგორც სხვა ევროპელ კალათბურთელებს, თავიდან გაუჭირდა ნბა-ში ფეხის მოკიდება, თუმცა აკლიმატიზაციის პერიოდმა მალე გაიარა.

პატ რაილიმ თითქმის ათი წელი იმუშავა „ლეიკერსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე, 1990-91 წლების სეზონიდან კი გუნდი ჩაიბარა მაკ დანლევიმ (პატ რაილი „დეტროიტ-პისტონსში" გადავიდა), რომელსაც, როგორც მწვრთნელს, ნბა-ში ჯერჯერობით არაფრით გამოუჩენია თავი, მაგრამ მასზე დიდ იმედებს ამყარებს გუნდის მენეჯერი ჯერი უესტი. სწორედ მან წამოაყენა დანლევის კანდიდატურა უფროსი მწვრთნელის პოსტზე. „დანლევს ანალიტიკური აზროვნების უნარი აქვს, — ამბობს მენეჯერი, — ვფიქრობ, საქმე კარგად წავა".

მიკ დანლევი 36 წლისაა, სხვადასხვა დროს თამაშობდა ფილადელფიის, ჰიუსტონის, სან-ანტონიოსა და მილუოკის გუნდებში. „მთავარი მწვრთნელის პოსტი დიდი ტვირთია, — არ მალავს დანლევი, — ჩემი წინამორბედი პატ რაილი შესანიშნავი მწვრთნელია და ბედნიერი ვიქნები, რაც მან შეძლო, იმის ნახევარი თუ გავაკეთე". როგორც ჩანს, დანლევს „ძველი გვარდიის" წარმომადგენლების — ჯონსონის, უორტის, გრინის და კუპერის იმედი აქვს, აგრეთვე იუგოსლაველი დივაცისა, რომელიც ახლა ჩინებულად თამაშობს. „ლეიკერსის" კალათბურთელებიც სიმპატიით არიან განწყობილნი ახალი მწვრთნელის მიმართ და ოპტიმისტურად უყურებენ მომავალს.




მოამზადა
დიმიტრი ოზოლაძემ.

„სარბიელის" სპონსორია კოოპერატივი „ტრანსკავშირი"


სარბიელი
ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380077, ვაჟა-ფშაველას გამზ. 49.
გაზეთ „სარბიელის" რედაქცია.
ტელეფონი: 39-18-87.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ძსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორქია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი, გიორგი ჩოჩიშვილი.